# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 ივნისი 2001 №110 (1383) | ფასი 50 თეთრი


2 ურმული ქართული სიმღერაა

გადაბრუნებული ნაკრები ეძებს მწვრთნელს

6 NANDROLONE

ნანდროლოფიკაცია



ფრანკ დე ბურის სამი დღე და მთელი ცხოვრება

8 ბორჯღალის ქაჯები

ვასილ აბაშიძე



გრენობლის გზაზე მიმავალი ქართველი ლონდონში დაზვერეს

# მწვრთნელობა და მწვრთნელობანა

## კახა ცხადაძე ლოკომოტივით იწყებს

### მოდით და იაზროვნეთ!

უეჭველია, უახლოეს წლებში ჩვენს ფეხბურთს ახალი ტალღა მოაწყდება. ის მოთამაშენი, რომლებიც ათი წლის დამოუკიდებელმა ქართულმა ფეხბურთმა გამოზარდა, კარიერას მწვრთნელებად გააგრძელებენ. გუშინ უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილი თბილისის „ლოკომოტივი" ევროპამოვლილ, საქართველოს ნაკრების კაპიტანყოფილ, კარიერის სიმდიდრით გამორჩეულ კახა ცხადაძეს ჩააბარეს. ცხადაძის გზას მერე ალბათ სხვებიც მიჰყვებიან და თუ ნიჭიც გამოაჩნდათ, იქნებ ქართულ ფეხბურთს ახალი ყაიდის, ევროპულად ანუ პროფესიულად მოაზროვნე და მოსაქმიანე მწვრთნელები შეემატნონ. ლეგიონერთა თაობას კი, იმედია, ეცოდინება, რა სხვაობაა მწვრთნელობასა და მწვრთნელობანას შორის. იყავ ალალი საქმესთან, მოთამაშეებთან და, რაც მთავარია, იაზროვნე! მწვრთნელიც მაშინ ხარ.

იხილეთ მეოთხე გვერდი



# რუმინეთიც უმწვრთნელოა

## ლისაბონის სპორტინგმა ლადისლაუ ბოლონი 100 000 დოლარად გამოისყიდა

## დიდი შანსია, 6 ოქტომბერს ქართველებს რუმინეთის ნაკრები მეორეზე ჰაჯიმ დაახვედროს

## ვინ გაუძღვება ბუქარესტში ქართველებს?

იხილეთ მეორე გვერდი



ლადისლაუ ბოლონი



## ბოლონი მოულოდნელად გამოისყიდეს

**გუშინ** რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა — ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ თანამდებობა დატოვა და პორტუგალიური „სპორტინგი“ ჩაიბარაო. „ბოლონიმ გადადგომის შესახებ თავადვე განგვიცხადა“ — უთხრა ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ ტელეკომპანია „ანტენა 1“-ს.

ვარაუდობენ, რომ რუმინეთის ნაკრების მწვრთნელის სავარძელს გეორგე ჰაჯი დაიკავებს, რომელმაც მოთამაშის კარიერა სულ რაღაც სამი კვირის წინ დაამთავრა. წლების მანძილზე კი „სტიაუას“, „რეალის“, „ბარსელონასა“ და „გალათასარაის“ ღირსებას იცავდა.

ბოლონი რომ წავიდოდა, ამას ყველა ელოდა. ჩვენც ვწერდით, რომ 7 ივნისს, ლიტვასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მეორე დღეს ის ნაკრებს დატოვებდა და პორტუგალიაში გადაბარგდებოდა. თუმცა საქმეს ერთი რამ აბრკოლებდა. ბოლონის, რომელიც ნაკრებში შარშანდელი ივლისიდან მუშაობდა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გაეფორმებინა და ავანსად უკვე მიეღო 200 ათასი დოლარი. ამისდაკვალად, თუ ლიტვასთან მატჩის მერე წავიდოდა, სამაგიეროდ 100 ათასი უნდა გადაეხადა. გუშინდელ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი ამ 100 ათასის თაობაზე, მაგრამ, ჩანს პორტუგალიელებმა საქმე გაჩარხეს და რუმინული ფეხბურთის მამებიც, თუ არ მიუღიათ, კომპენსაციას მალე მიიღებენ.

ბოლონის თავკაცობით რუმინეთის ნაკრებმა 13 მატჩი ჩაატარა და 8 მოიგო. „სპორტინგთან“ მოლაპარაკება კი უნგრეთ — ლიტვის საკვალიფიკაციო შეხვედრებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო. ამ ორ მატჩში რუმინელებმა 6 ქულა მოაგროვეს და მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდნენ.

სანდუს თქმით, ნაკრების ახალ მწვრთნელს უახლოეს ათ დღეში დანიშნავენ.

ახლა მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, რატომ წავიდა ბოლონი, ფულის თუ ფეხბურთელებთან უთანხმოების გამო. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ შემოდგომაზე ჰაჯიმ ნაკრების მოთამაშეები შეაგულიანა და უნგრული წარმოშობის რუმინელი ბოლონის გადადგომა მოითხოვა. მერე იტალიასთან თამაშს ლამის ნახევარი გუნდი არ აპირებდა და ამისათვის დაისაჯნენ კიდეც 0:3 წააგეს. ამას ბოლონის შტუტგარტელ იონელ განიასთან და ესპანიოლელ კონსტანტინ გალკასთან წაჩხუბებაც მოჰყვა, რაშიც, შესაძლოა, ჰაჯის ხელიც ერია.

მოკლედ, თუ ჰაჯი მართლაც ნაკრების მწვრთნელი გახდა, ჩავთვალოთ, რომ ბოლონი ლისაბონში მხოლოდ ფულის გულისთვის არ წასულა.

**სოლომონ გულისაშვილი**

### ფინეთი

XII ტური

ჰიკ 2:0 როვანიემი

კუოპიო 2:1 ვაასა

ლაჰტი 2:2 ჯაზი

ტამპერე 3:1 ინტერი

ჰაკა 4:1 იოკერიტი

# ურმული ქართული სიმღერაა

## ხალხს უთქვამს, ნაკრები რომ გადაბრუნდება, მწვრთნელი მერე გამოჩნდებაო

## ღვინია გადაიჩეხა: ჩვენი დროშის ფერი მსოფლიოს დააკლდა

**გუშინწინ** სკანდალურად დასრულდა ფეხბურთის ფედერაციის ლამის მთელი სამი წლის განმავლობაში ერთფეროვანი ალმასკომის სხდომა — რევაზ ძოძუაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობიდან დაითხოვეს.

ბევრი გულშემატკივრის აზრით, ალმასკომი არასწორად მოიქცა, ძოძუაშვილი ეროვნული გუნდის მესაჭედ უნდა დარჩენილიყო და შესარჩევი ციკლი ჩაემთავრებინა. სხვის აზრს პატივს ვცემ, მესმის, რა მდგომარეობაშია ძოძუაშვილიც, მომხდარი მის რეპუტაციაზე დადებითად ნამდვილად ვერ იმოქმედებს. დავით ყიფიანისთვის ჩვეული, დამუშავებულ-გათვლილი ნაბიჯის წყალობით დღეს ორზე გადასატეხი ჯოხი, ფაქტობრივად, მხოლოდ ძოძუაშვილზე გადატყდა, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ძოძუაშვილი უნდა წასულიყო. მომიტევეთ და, ძოძუაშვილის გამოსარჩლებაზე მეტად, სალაპარაკო უფრო ისაა, მწვრთნელებისა და პირველ ყოვლისა იმავ ალმასკომის და სფფ-ის ჩინოსნების უხეშმა შეცდომებმა რა დღეში ჩააგდეს ქართული ფეხბურთი.

1999 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ანუ იმ დღიდან, როდესაც ნაკრების გაძღოლა ყიფიან-ძოძუაშვილის დუეტმა ითავა, ეროვნულმა გუნდმა 16 მატჩი გამართა. აქედან ექვსი წააგო, ხუთჯერ ფრედ ითამაშა და ამდენჯერვე გაიმარჯვა. ხუთი მოგებული მატჩიდან ოთხი, ფაქტობრივად, ამხანაგური იყო. კვიპროსის ტურნირზე ჩვენებმა 2:0 სძლიეს სლოვაკეთის მეორე გუნდს და 2:1 დაამარცხეს სომხები. ტელევიზორში, ალბათ, ბევრმა ნახა ნაცოდვილარი და მსაჯის ბედოვლათობით მოპოვებული გამარჯვებები უსახურ აზერბაიჯანთან (1:0) და შესუსტებულ ისრაელთან (3:2). ხუთი მოგებიდან ყველაზე ფასეული რაღა თქმა უნდა, სტუმრად ლიტველთა დამარცხებაა, რადგან ეს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისა იყო. იმ თამაშის მოგებისთვის მწვრთნელ-ფეხბურთელებს ნაღვაწს როგორ დავუკარგავ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ლიტვის ნაკრებში ქართველებთან შეხვედრამდე კარგად ვერ იყო საქმე, თანაც ბალტიისპირელებს ერთი-ორი წამყვანი მოთამაშეც აკლდათ.

ფრეებზეც ვთქვათ: ხუთიდან ერთი ქულაც კი ვერ შევიმატეთ კორეა-იაპონიისკენ სავალ გზაზე. ფრედ ნათამაშევი მატჩების გახსენებისას კი ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორჯერ უგოლოდ დავშორდით აზერბაიჯანს და სომხეთს.

ვთქვათ, რომ ექსპერიმენტული ხასიათის მარცხი ვიწვნიეთ ირანთან და ესტონეთთან (შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ნაკრები ძიებაში იყო), მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ოთხ ოფიციალურ მატჩში (ორჯერ შინაურ კედლებში) ქართველებმა უქულოდ დატოვეს მოედანი და მეტოქეების 8 გოლს მხოლოდ ორით უპასუხეს. ის ორიც მაშინ გაიტანეს, როდესაც შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო. მგონი, უხერხულია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენმა გუნდმა მსაჯების მიკერძოების გამო, მაგრამ ბოლომდე ბრძოლით და იმედიანად წააგო ორი მატჩი იტალიელებთან. ამ მოსაზრების ჩაუთვლელად (მიუხედავად იმისა, რომ ამასაც ბევრი ეჭიდება) გვაქვს რეალური სავალალო ფაქტი: 18 თვეში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთადერთი ღირებული გამარჯვება მოიპოვა და, სამწუხაროდ,



**საქართველოს ნაკრები ყიფიან-ძოძუაშვილის ხელში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02.02.00 | კტ | სლოვაკეთი | 0:2 | საქართველო |
| 04.02.00 | კტ | რუმინეთი | 1:1 (4:2პ) | საქართველო |
| 06.02.00 | კტ | საქართველო | 2:1 | სომხეთი |
| 28.03.00 | ამ | ისრაელი | 1:1 | საქართველო |
| 26.04.00 | ამ | სომხეთი | 0:0 | საქართველო |
| 04.06.00 | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | საქართველო |
| 11.06.00 | ამ | ესტონეთი | 1:0 | საქართველო |
| 16.08.00 | ამ | ირანი | 2:1 | საქართველო |
| 07.10.00 | მჩშმ | ლიტვა | 0:4 | საქართველო |
| 11.10.00 | მჩშმ | იტალია | 2:0 | საქართველო |
| 14.02.01 | ამ | საქართველო | 0:0 | უკრაინა |
| 28.03.01 | მჩშმ | საქართველო | 0:2 | რუმინეთი |
| 24.04.01 | ამ | საქართველო | 3:2 | ისრაელი |
| 09.05.01 | ამ | საქართველო | 1:0 | აზერბაიჯანი |
| 02.06.01 | მჩშმ | საქართველო | 1:2 | იტალია |
| 06.06.01 | მჩშმ | უნგრეთი | 4:1 | საქართველო |

*კტ — კვიპროსის ტურნირი, ამ — ამხანაგური მატჩი, მჩშმ — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი*

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იმ მატჩში აღებული სამი ქულის ამარაღაა. ყოველივე კი საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მწვრთნელმა ქუდი დაიხუროს.

ალმასკომის სხდომაზე ყიფიანმა კოლეგის გამოსარჩლებისას არაერთხელ აღნიშნა, რომ ძოძუაშვილს ნაკრების გაახალგაზრდავებისკენ უჭირავს გეზი. „მივცეთ ამ კაცს საშუალება. ამბობს, საქმეს გავაკეთებო, ამბობს, რომ ააშენებს, ხომ არ ანგრევს?“ — გამოგიტყდებით, ყიფიანის ამგვარი განცხადება ორაზროვანი მგონია. ყოველივე კი ქომაგისთვის თვალებში ნაცარის შეყრას ჰგავს. სხვას თუ არა, ყიფიანს კარგად მოეხსენება, რომ ამ მხრივ ძოძუაშვილის აქტივს არაფერი შეემატება, რადგან 18 თვის მანძილზე 13 ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი ეროვნულ ნაკრებში (18 თვისთვის მეტისმეტი ხომ არ არის?). ამ ხელაღებით გაახალგაზრდავების პროცესს კი კრახის მეტი არაფერი მოჰყოლია.

ძოძუაშვილს ნაკრებში არაფერი ესაქმება თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში ისიც თვალში ნაცარს აყრიდა ქომაგს. არადა, თურმე: „რაც ყიფიანთან ერთად ვმუშაობ, მხოლოდ ერთხელ იყო, რომ მატჩისთვის შემადგენლობა მე დავასახელე და გუნდი ტაქტიკურად დავმოძღვრე — ეს ლიტვასთან მატჩის წინ იყო“. თურმე: „ლიტველებთან მატჩის წინადამეს ჟორდანიას, ჩივაძესა და ყიფიანს შემადგენლობა უკვე მოფიქრებული ჰქონდათ. არ დავთანხმდი, ჩემი გავიტანე“. თურმე: „ამის მერე იტალია იყო. ყიფიანს ლამის დავუჩოქე, ვთხოვე, იმ მატჩისთვის გუნდი მე მომემზადებინა, პასუხისმგებელი ვიქნები-მეთქი. ათასჯერ გავუმეორე, თანაც ავად იყო. არა — კატეგორიულად მიპასუხა — მხოლოდ ჩემთან ერთადო“... თურმე: „რასაც ვამბობდი, ნაკრებში ის არ კეთდებოდა“... და ძოძუაშვილი მხოლოდ დღეს ამბობს ამის შესახებ. დღეს, როდესაც ყველაფერი დაკარგულია, აცხადებს, ნაკრებს ორმწვრთნელიანობამ შეუშალა ხელი, თორემ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდებოდაო.

ბოლო დროს ძოძუაშვილისგან ჟურნალისტებს სულ ის გვესმის, ვითანამშრომლოთ, ერთად დავდგეთ ნაკრების საკეთილდღეოდო. ამდენი პრობლემა თუ ჰქონდა ამ კაცს, ნაკრების კეთილდღეობაზე ფიქრი ამდენ ხანს რატომ არ გახსენებია? რატომ არ ამოიღო ხმა, ვინ და რამ შეუშალა ხელი იმ ვითარების სააშკარაოზე გამოსატანად, ნელ-ნელა რომ ახრჩობდა ეროვნულ გუნდს. არადა, წესით და რიგით, როცა ეს უნდა თქმულიყო, ძოძუაშვილი ამბობდა, რომ ნაკრებში საქმე ჩინებულადაა, რომ ორ მწვრთნელს შორის შეხმატკბილებული ურთიერთობაა და ყველაფერი კარგად მიდის.

თავი და თავი ამ უთავო ორთავიანობისა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი ალმასკომია. სწორედ ის ალმასკომი, 14 ივნისს განაჩენი რომ გამოუტანა ძოძუაშვილს, თვრამეტი თვის წინ კი სფფ-ის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა და ნაკრებში ორი მწვრთნელის მისვლას მოაწერა ხელი. მაშინ პრესის ყიჟინას არავინ ათხოვა ყური და ფეხბურთში ჩახედულმა ხალხმა, რომელთაც, უეჭველია, იცოდნენ, რომ ერთი გუნდის ორი ამბიციური მწვრთნელისთვის მიბარება საერთო საქმეს ზიანს მოუტანდა, ქართულ ფეხბურთს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ძნელი სათქმელია, შეცვლიდა თუ არა რამეს რუმინეთთან მატჩის შემდეგ გამართული ალმასკომის სხდომის გადაწყვეტილება, მაგრამ ის ხომ ფაქტია, რომ ნაკრების დეგრადაცია მაშინაც ცხადი იყო.

რატომ მაშინ არ დადგა ეროვნული გუნდიდან ყიფიან-ძოძუაშვილის განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში? ერთადერთი, ვინც მაშინ ხმა ამოიღო ალმასკომის წევრთაგან, ზაზა ბოკერია გახლდათ, დანარჩენები მორჩილი ცხვრებივით მიჰყვებოდნენ სხდომის მსვლელობას.

სად არიან დღეს და რატომ არაფერს ამბობენ „ჟურნალისტების თავხედობით“ და „ჩვენს საქმეში ცხვირის ჩაყოფით“ აღშფოთებული მწვრთნელთა საბჭოს წევრები? თავისი წილი პასუხისმგებლობა მათაც აკისრიათ.

ორმწვრთნელიანობის მომხრე დავით ყიფიანი, დღეს რომ აღიარებს თავის შეცდომას, ვერაფრით დამაჯერებს, რომ მხოლოდ უნგრეთთან მატჩის შემდეგ მიხვდა ყოველივეს. უნგრეთთან უბრალოდ ყველაფერი დამთავრდა, ურემი გადაბრუნდა.

და გზა... სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია აცხადებს, რომ საქმეს უცხოელი მწვრთნელი გამოასწორებს. ნაცნობი გზა ხომ არ არის? განა ჟორდანია თავად არ შეუდგა იმ გზას ორი წლის წინ ბოსკამპთან ერთად და თავადვე არ მიატოვა გზის დასაწყისში ჰოლანდიელი მწვრთნელი? განა არ გვაქვს საფუძველი, პრეზიდენტის დაპირებების რეალობაში ეჭვი შევიტანოთ? რა გარანტია გვაქვს საიმისოდ, რომ მორიგ უცხოელ მწვრთნელობანას უთავობაში გადაზრდილი ორთავობის მსგავსი შეცდომები არ მოჰყვება? გამოცდილება ხომ გვარიანი გვაქვს — ჩვენში პროფესიულად ძნელ და მართალ გზაზე სიარული არ უნდათ. შედეგიც შესაბამისია. დასკვნისთვის კახა კალაძის მწარე მონოლოგიც გამოდგება: „რატომღაც მგონია, რომ საქართველოში ფეხბურთი არასოდეს იქნება“.

**ბაატა ძვანტალიანი**

## ავტორი უცხოელი რომ იყოს, უეჭველად იტყოდა: უცნაური ხალხია ქართველები, ერთი სული აქვთ, ჯიპებში და მერსედესებში შესხდნენ, საქმეში კი ურმით დადიან

# თუ სეზონი დასრულდა, გულში ცეცხლი რად არის?

## რა მგრძნობიარეა ჩვენი სულები, რატომ არ ვუყვარვართ ეს ქართველები?!




ეროვნული ბიბლიოთეკა

**სეზონი** იწყება და მთავრდება. ხალხი მიდის და მოდის. მწვრთნელები ფეხბურთელებს იბარებენ, მარცხდებიან და აბარებენ. „გადადიოდა ხელიდან ხელში"... ზედგამოჭრილია ჩვენი ნაკრებისთვის, ქვეყნის პირველი გუნდის ბირთვი კი უცვლელია. ალავერდი შენთანა ვარ! — ეტყვის წინამორბედი მომდევნოს და იწყება ეს გაუთავებელი სიარული ეშმაკისეული წრის გარშემო. გვპირდებიან, ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდით. მიზეზი მარტივია, არ იციან, როგორ აკეთონ საქმე. დაცვის ხაზი ფენოვანი ხაჭაპურივით იფშვნება, ნახევარმცველები და თავდამსხმელები, რაც დრო გადის, მით უფრო ვერ უგებენ ერთმანეთს. გამარჯვება კი მხოლოდ იქ არის, სადაც თანხმობაა. რომელმა მწვრთნელმა შეძლო თანხმობის მიღწევა ფეხბურთელებს შორის?

ნაკრები იმ ბავშვს დაემსგავსა, ცხრა ძიძის ხელში რომ იზრდებოდა, მშობლებს კი ვერ გაეგოთ, მისგან კაცი რატომ არ გამოვიდა. იმიტომ, რომ ყველა სხვადასხვას უკიჟინებდა, ხოლო ენას, რომლითაც ფეხბურთელს უნდა აუხსნა, რას ითხოვ მისგან, ცოდნა სჭირდება. ის ბუნებრივად შეიძლება ჰქონდეს ადამიანს და მას არსად ასწავლიან. ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, როგორც იტყოდა გალაკტიონი. საბჭოთა ჯარი ხომ არ არის, ფეხბურთელობა და მწვრთნელობა ყველასთვის სავალდებულო იყოს. არც ისაა სირცხვილი, თავი დაანებო იმას, რისი კეთებაც არ შეგიძლია. განა აბსურდი არ არის, საშუალო დონის მეკარე არ გყავდეს და გულშემატკივარს ჰპირდებოდე, ჯგუფიდან გასასვლელად ვიბრძოლებთო? მგონი, ჩემს გარდა ყველა იდგა ნაკრების კარში.

ეგ კიდევ არაფერი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაკრები თითქმის ექსპერიმენტული გახდა. მოდი რა, დათო, დღეს მე დავაყენებ შემადგენლობას, ხვალ შენ ან პირიქით. ზეგ იმან დააყენოს, ვიღაცაა, მერე შეიძლება ჩემი რიგიც მოვიდეს. რა მოხდა ახლა, დიდი ამბავი. ნაკრებს შეიძლება არაფერი ეშველოს, მაგრამ, სამაგიეროდ, „მილიონი სამუშაო ადგილის" რეალიზაცია მოხერხდება. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ალბათ, ამიტომაც განაცხადა ერთმა გულშემატკივარმა, უნგრეთთან წაგების შემდეგ ვიტირეო და როგორ გგონიათ, მხოლოდ ამ მარცხის გამო? შეიძლება ასეც იყოს, მე კი ვფიქრობ, ისე, როგორც მრავალ სხვას, აბსოლუტური უპერსპექტივობა უკლავდა გულს. მართლაც ძნელია, გინდოდეს შველა, მაგრამ არ შეგეძლოს, ხედავდე როგორ კვდება და უძლური იყო, დაეხმარო.

თუმცა ჩვენი ნაკრების მარადიულ წარუმატებლობას ერთი ნათელი წერტილი მაინც ახლავს. რომელ სინათლეზე ლაპარაკობო, იკითხავს გაკვირვებული გულშემატკივარი და გიპასუხებთ: ჯერ გაუხმაურებელ აღმოჩენაზე. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებისა და მათი სხვადასხვა მწვრთნელების ათწლიანი მოღვაწეობის შედეგად დავასკვენი: რომანტიული ფეხბურთი იყო? წავიდა. ძალისმიერი ფეხბურთი არის? უნდა წავიდეს და გზა ახალ მიმდინარეობას დაუთმოს. რომელს? იმას, რომელსაც ჩვენი მოთამაშეები და მათი დამრიგებლები სთავაზობენ მსოფლიოს. ახალი სიტყვა მსოფლიო ფეხბურთში: სენტიმენტალური ანუ გრძნობიერი ფეხბურთი. რას ნიშნავს? — როცა ძალიან ძლიერ გუნდს ორი მწვრთნელი ჰყავს, მესამე ზემოდან „ეხმარება", მაგრამ იმის გამო, რომ მზე ღრუბლებში დაცურავს, კუთხურის ალამი გადახრილია, მსაჯმა კი არც წესები იცის და აშკარადაც ვეჯავრებით, ეს ძლიერი გუნდი მაინც მარცხდება. მაშ, გაუმარჯოს სენტიმენტალურ ფეხბურთს! გრძნობები უპირველეს ყოვლისა! ხოლო თუ ვინმემ იცის, როგორ უშველოს ნაკრებს და საერთოდ ჩვენს ფეხბურთს, დაგვიკავშირდით ინტერნეტით:

*WWW.ქართული ფეხბურთი.COM.ჯში.*

**ვაჟა ხუციშვილი**

# დავით მუჯირი: მიხარია, მომენატრა, ვწუხვარ

*წლეულს ქართველი ლეგიონერები დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნიან. კი ბატონო, ფრაიბურგელებმა უეფას თასის საგზური მოიპოვეს, შოთა არველაძე ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს, კახა კალაძეც არ დარჩება ევროტურნირებს მიღმა, მაგრამ მონაგარში არ იყო ოქრო.*

*გუშინწინ კი ოქროც გაჩნდა. დავით მუჯირისა და ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა" მოლდოვის ჩემპიონატში „ზიმბრუს" ბატონობა დაამხო.*

*სადაურიც უნდა იყოს, ოქრო უბრალო რკინას მუდამ სჯობს. დათო მუჯირი დღეს ჩვენი რესპონდენტია და განვლილ სეზონზე და სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს.*



— ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ ვამბობდი, ჩემპიონობის თეორიული შანსიღა დაგვრჩა-მეთქი. „ზიმბრუ" 9 ქულას გვიგებდა და დანაკლისის ანაზღაურების პერსპექტივა ჰორიზონტზეც აღარ ჩანდა.

მეორე ეტაპის დაწყებამდე კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელი შეცვალა. წარმოშობით უკრაინელი ზემლიანიმ კი ისე აგვათამაშა, რომ დანაკარგი მინიმუმამდე დავიყვანეთ, თან ამასობაში „ზიმბრუმ" ქულების განიავება დაიწყო. შანსი ხელიდან არ გაგვიშვია, ბოლო ტურებიც უდანაკარგოდ განვლეთ და ჩემპიონისთვის კუთვნილი თასიც შევირგეთ.

„ზიმბრუს" ამ სეზონში სულ 6-ჯერ ვეთამაშეთ. ჩემპიონატში 2-ჯერ მათ დაგვამარცხეს, 2-ჯერ ჩვენ მოვუგეთ. თასის ნახევარფინალში 1:0 კიშინიოვში მოვიგეთ, შინ კი 0:0 ვითამაშეთ. მოკლედ, წლეულს დედაქალაქელები მაგრად დავჩაგრეთ. თასი კი ოტაჩის „ნისტრუს" პენალტების სერიაში წავართვით.

**— გაჩემპიონების შანსი „შერიფს" წინა ჩემპიონატშიც ჰქონდა, მაგრამ „ზიმბრუმ" გაჯობათ.**

— მაშინ ჩვენ სწორედ ის დაგვემართა, რაც წლეულს „ზიმბრუს". გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე დედაქალაქელებს 5 ქულას ვუგებდით. ეტყობა, დროზე ადრე დავმშვიდდით და ჩემპიონობაც „ზიმბრუს" მივართვით. წინა ჩემპიონატის მწარე გამოცდილებამ ნაყოფი წლეულს გამოიღო.

**— მწვრთნელის მიმართ საქებარი სიტყვები თქვი. რა შეცვალა ზემლიანიმ „შერიფში"?**

— სათამაშო სტილი. ყველა მატჩი მოსაგებად ვითამაშეთ. მწვრთნელმა კონტრშეტევებს შეტევა არჩია. კონფლიქტებიც ერთბაშად გაქრა. „შერიფმა" ორი თავდამსხმელით დაიწყო თამაში. ამათ უკან მე ვიყავი. ზურგს სამი ნახევარმცველი მიმაგრებდა. მათ ერთი, დაცვაზე ორიენტირებული საყრდენი აზღვევდა, ხოლო დაცვაში სამი უკანახაზელი ირჯებოდა. შედეგიანობამ პირველივე მატჩებიდან იმატა. ორიოდ საშინაო თამაშში მწვრთნელმა ცოტა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია, თუმც მთავარი პრინციპი უცვლელი იყო და გადაწყობა არ გვიჭირდა.

**— კლუბის თავკაცებმა მწვრთნელ-ფეხბურთელებს გარჯა როგორ დაუფასეს?**

— „შერიფი" ფინანსურად წელგამართული კლუბია. ვალში კლუბის არც ერთ წევრთან არ არიან. დანაპირები პირნათლად შეასრულეს. კლუბის გარდა არსებობს კომპანია „შერიფიც". დნესტრისპირეთშიც თითქმის ყველაფერი იმ კომპანიას ეკუთვნის. სუპერმარკეტების ქსელი, ტელევიზია, კიდევ ბევრი რამ.

დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაწყებულია. ორი სტადიონი, ერთი 22-ათასიანი და მეორე 3-ათასიანი, სავარჯიშო მოედნები, ალდგენითი ცენტრი, აუზები, სხვადასხვა ტიპის დარბაზები. ერიხ ეპლემ ამ კომპლექსის გეგმა რომ ნახა, მსგავსი აღმოსავლეთ ევროპაში არ მეგულებაო, გაკვირვება არ დაუფარავს.

ბოლო ტურში ჩემპიონები რომ გავხდით, ცა ულამაზესი ფოიერვერკებით გალამაზდა. მერე ავტომანქანებში მოგვათავსეს და ტირასპოლის ქუჩებში გვატარეს. ბანკეტიც იმავ საღამოს იყო, დილით კი თბილისისკენ მოვფრინავდი.

**— მოლდოველი ჟურნალისტების აზრით, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე დავით მუჯირია.**

— ოფიციალურად გამოკითხვა ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ თუ ჩემპიონატის მატჩებში საუკეთესო მოთამაშედ დასახელებას ყურადღებას მივაქცევთ, მაშინ მე და ვაჟა თარხნიშვილი ვლიდერობთ. დღეს ერთი რამ შემიძლია გითხრათ: მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი აუცილებლად ქართველი იქნება.

**— თარხნიშვილზე რას გვეტყოდი?**

— გუნდის დაცვის ბურჯია. ყველა აფასებს და კლუბმა კონტრაქტიც გაუხანგრძლივა. ვაჟა „შერიფისთვის" შეუცვლელი მოთამაშეა.

**— მუჯირს ჩემპიონატის ერთპიროვნული ბომბარდირობაც შეეძლო, მაგრამ ბოლო ტურის მატჩში ერთი გოლით ჩამორჩენილ თანაგუნდელს თავისთან გათანაბრების შანსი მისცა.**

— „აგროს" 1:0-ს ვუგებდით. თამაშის დამთავრებამდე დრო კიდევ გვარიანი იყო, როცა მსაჯმა სტუმართა კარში ჩემი მოცელვისთვის პენალტი დანიშნა. „შერიფში" საჯარიმოს, კუთხურს, პენალტს მე ვასრულებ. ეს ყველამ კარგად იცის. გავასწორე ბურთი, უნდა დავარტყა და ბარბეროში მეხვეწება დამარტყმევინეო. ვეუბნები, რომ 1:0 სახიფათო ანგარიშია, სასწორზე ჩემპიონობა დევს და თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არ ხარ, ნუ დაარტყამ-მეთქი. გავიტანო, ისევ მთხოვა და მეც დავუთმე. გაიტანა და 17-17 გოლით ბომბარდირობა გავიყავით.

**— დათო, როგორ ფიქრობთ, რა მოგცათ მოლდოვის ჩემპიონატში თამაშმა?**

— ფეხბურთისკენ მომაბრუნა. აქედან 6 თვის უთამაშებელი, რწმენადაკარგული წაველი. თავიდან ორი-სამი თვე ძირითადშიც მიჭირდა მოხვედრა. საკუთარი თავის რწმენა უეფას თასის მატჩებშიღა დავიბრუნე. ჩეხურ „სიგმასთან" „შერიფი" მომდევნო წრეში ხომ ჩემი გოლების წყალობით გავიდა.

ჯანმრთელობა მოვიწესრიგე. უკვე წნევა აღარ მაწუხებს, მოძრაობას აშკარად ვუმატე, გაცილებით ბრძოლისუნარიანი და ხისტი მოთამაშე გავხდი. ამას საქართველოში ვერ მოვახერხებდი.

**— 23 წლის ტექნიკური და საზრიანი ნახევარმცველი მოლდოვის ჩემპიონატისთვის მაინც არ გვემეტება. სამომავლოდ რას აპირებთ?**

— საქართველოში დაბრუნების პერსპექტივები ზამთარშივე გამოირიცხა. ჩემს ასაკში ყველაფრის თავიდან დაწყება წარმოუდგენელია. ახლა შვებულებაში ვარ და თუ სერიოზული წინადადებები მივიღე, მზად ვარ განვიხილო. ვცდილობ, გეზი დასავლეთ ევროპისკენ ავიღო. არც იმას გამოვრიცხავ, „შერიფთან" კონტრაქტი დროებით გავახანგრძლივო და გუნდთან ერთად ევროთასებზე ვითამაშო. ახლა ვისვენებ, თვის ბოლოს ტირასპოლში ჩავალ და მერე ვნახოთ.

**— ეროვნული გუნდის გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— ძალიან მწყდება გული. გასაოცარი და დასანანია, ასეთი მოთამაშეები გვყავს, თითქოს საფეხბურთო ქვეყანა გვქვია, ნაკრები კი უსახურად თამაშობს. ჩემი აზრით, პრობლემა ერთია, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ეროვნული გუნდი არც ფეხბურთის ფედერაციის, არც ფეხბურთელების და, მით უფრო, არც ორი მწვრთნელისაა. ნაკრებისთვის ყველა შესარჩევი ციკლი 2-3 ტურის შემდეგ მთავრდება. მერე იწყება კონფლიქტები, გაუგებრობები. საქართველოს ასეთი ნაკრები არ სჭირდება.

**— თქვენი აზრით, ვინ უნდა აგოს ყველაფერზე პასუხი?**

— ყველამ ერთად, ფედერაციამ, მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმაც. თუ ესენი არ გაერთიანდნენ და ერთნაირად არ იფიქრეს, არაფერი გამოვა.

**— ნაკრებიდან თქვენ არავინ შეგხმიანებიათ?**

— მე არა და ამან ძალიან დამწყვიტა გული. ერთ შანსს მაინც ვიმსახურებდი. ამდენი ამხანაგური მატჩიდან ერთში მაინც გამოვეძახებინეთ.

ვაჟა თარხნიშვილს კი უხმეს. თუ არ ვცდები, ისრაელში წაჰყვა ნაკრებს და სულ ტყუილად. წუთიც არ უთამაშია. ვაჟა არ არის ის კაცი, წყენა გულში ჩაიდოს. მზად იყო, სხვა დროსაც ჩამოსულიყო. რუმინეთთან მატჩის წინ „შერიფში" გამოძახების ფურცელი მოვიდა. ვაჟას თბილისში ფეხბურთის ფედერაციაში იბარებდნენ. ამ დროს ნაკრები უკვე გერმანიაში ემზადებოდა და თარხნიშვილს 27 მარტს ფედერაციაში რაღა დარჩენოდა?! მოკლედ, ძალიან გაუგებარი იყო ის ამბავი და მან დარჩენა არჩია.

**— როგორ ფიქრობთ, უცხოელი სპეციალისტი უშველის წამხდარ საქმეს?**

— უშველის, ოღონდ ახლავე უნდა დაინიშნოს, პირობები შეუქმნან და დრო მისცენ, რათა მომავალი შესარჩევი ციკლისთვის გუნდი მოამზადოს. ერთი და ორი თვე მაგ საქმეს არ ეყოფა. ჩამოიყვანეს ბოსკამპი და თვენახევარში ჩემპიონთა ლიგაში გასვლა მოსთხოვეს. ჰოლანდიელი ჯადოქარი არ იყო. მესმის, რომ ამდენი მარცხის შემყურე ქომაგს გამარჯვებები სწყურია, მაგრამ გუნდი ორ თვეში არ კეთდება.

**— ვიცით, კახა კალაძე თქვენი მეგობარია. გაიგებდით კალაძეების თავზე დატრიალებულ უბედურებას.**

— ტელეფონით ვესაუბრე კახას. ლევანის შესახებ ახალი არაფერიაო. არ მინდა, ასე ვიფიქრო, მაგრამ ცუდი ქვეყანაა საქართველო. ვიღაცას ერთბაშად გამდიდრება მოუნდა და...

არავინ ფიქრობს იმ დაღვრილ ოფლზე, დახარჯულ ენერგიაზე, ზოგჯერ უძილო ღამეებსა და ნერვიულობაზე. სამტრედიიდან მილანამდე კახა თავისი შრომით მივიდა. რა უნდათ, რას ემართლებიან?!

**— რითია დაკავებული შვებულებაში მყოფი მუჯირი?**

— ოჯახის და ახლობლების მოსიყვარულებით ვერ ვძღები. აეროპორტში პირველად შვილები — დათუჩა და ანუკა მოვიკითხე. მეუღლემ, სძინავთო. ერთი სული მქონდა, შინ როდის მივიდოდი.

ჯერ დაიკო და სიძეც არ მინახავს. მათ ქორწილშიც ვერ ჩამოვედი.

მოკლედ, აქაც მოუცლელი ვარ.

**მამუკა ძგანტალიანი**



კახა ცხადაძე

07.09.68

| | | | |
|---|---|---|---|
| 84-87 | მეტალურგი | | |
| 88-91 | დინამო | | |
| 90-91 | საქართველოს ჩემპიონი | 44 თამაში | 2 გოლი |
| 91 | სუნდსვალი (შვედეთი) | | |
| 92 | სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | | |
| | დინამო (მოსკოვი, რუსეთი) | | |
| 93-96 | აინტრახტი (გერმანია), (ბუნდესლიგის მესამე პრიზიორი) | | |
| 97 | ალანია (ვლადიკავკაზი, რუსეთი) | | |
| 98-00 | მანჩესტერ სიტი (მანჩესტერი, ინგლისი) | | |
| 00-01 | ლოკომოტივი (მეორე პრიზიორი) | | |
| 01 | ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი | | |
| | სსრკ-ის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგა | 41 | 1 |
| | სსრკ-ის ნაკრები | 6 | 1 |
| | 92 წლის შვედეთის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე | | |
| | საქართველოს ეროვნულ ნაკრებში | 25 | 1 (კაპიტანი) |

# მწვრთნელი ცხადაძე ლოკომოტივით იწყებს

## ოცნებაო მართლა ძველო...

**ქართულ** ფეხბურთში გუშინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა — თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელად დაინიშნა 32 წლის კახა ცხადაძე. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა ჩვენს ფეხბურთში.

კახა ცხადაძე გერმანიიდან, სადაც ნატკენ ფეხს მკურნალობდა, გუშინწინ დაბრუნდა, გუშინ შუადღისას კი „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს ესაუბრა და სალამის, პირველად კარიერაში, გუნდის ვარჯიშსაც უხელმძღვანელა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს იქნება კახა ცხადაძე „ლოკომოტივის“ მწვრთნელი. გუნდის ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ლებერიძის თქმით, ცხადაძისგან გუნდის მეპატრონეები ორ დღეში ელიან კონკრეტულ წინადადებებს და „ლოკომოტივი“ და მწვრთნელი კონტრაქტის დეტალებზე ამის შემდეგ შეთანხმდებიან.

რკინიგზელთა ახალ მწვრთნელ **კახა ცხადაძეს** დანიშვნისთანავე ეს სახელდახელო ინტერვიუ ვთხოვეთ:

**— საკმაოდ მოულოდნელი იყო თქვენი მწვრთნელობა. ყოველ შემთხვევაში, ახლა. ფეხბურთელის კარიერა დაასრულეთ?**

— არა, ჯერჯერობით მოთამაშე მწვრთნელი ვიქნები. „ლოკომოტივთან“ ერთად უეფას თასზე მეც ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ.

**— მერედა, არ გეშინიათ გამოუცდელმა მწვრთნელმა რომ უნდა ათამაშოთ გუნდი უეფას თასზე?**

— რატომ უნდა მეშინოდეს. ადრე თუ გვიან მაინც უნდა დამეწყო მწვრთნელობა. როგორც ფეხბურთელს, საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს, უამრავი ცნობილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მითამაშია და მათგან ყოველთვის ახალს ვსწავლობდი. ახლა ჩემს ცოდნას ახალგაზრდებს გავუზიარებ, ნელ-ნელა ამ საქმესაც შევეჩვევი და ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება.

**— მწვრთნელობის სურვილი დიდი ხანი გქონდათ?**

— ჩემი ოცნება იყო. მომწონს ეს საქმე. ბოლო სამი წელი სულ ამაზე ვფიქრობდი.

**— „ლოკომოტივის“ წინადადებას მაშინვე დათანხმდით?**

— არა, ორი დღე ვიფიქრე.

**— პირველი საქმე რა იქნება, რასაც მწვრთნელი კახა ცხადაძე გააკეთებს?**

— „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებთან თხოვნა, რომ წინა სეზონის გუნდი შევინარჩუნოთ. მერე კი სხვა საქმეებსაც მივხედავ. სამუშაოს აბა, რა დამილევს.

**— ხვალ მიდიხართ ბაკურიანში შეკრებაზე?**

— არა, გადავიფიქრეთ, თვის ბოლოს კი სამი კვირით ბულგარეთს ვესტუმრებით.

**— წარმატებებს გისურვებთ.**

— დიდი მადლობა. თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს.

**ძოვა ინასარიძე**

# მე მაოცებს თქვენი...

## ერიხ ეპლე კომპლიმენტებად დაიღვარა

**უეფას** აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს თავმჯდომარე ერიხ ეპლე საქართველოს ბოლოს ერთი წლის წინ სტუმრობდა. მაშინ მან ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთ რჩევა-დარიგებები მისცა, უეფას დახმარება რისთვის და როგორ უნდა მოეხმარათ.

ორიოდ დღის წინ ეპლე კვლავაც ჩამოვიდა, ოღონდ ამჯერად აუდიტორებთან ერთად. ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვდა, „ლოკომოტივის“ ახალი სტადიონი მოინახულა, გუშინწინ ფედერაციის აღმასკომის წევრებს თავისი ვიზიტის მიზანზე ესაუბრა, შემდეგ ათიოდ წუთი ჟურნალისტებსაც გაგვესაუბრა და ფედერაციაში გასწია აუდიტის ჩასატარებლად.

— იმ 13 ქვეყნიდან, რომელიც უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს წევრია, ერთ-ერთი საქართველოა. პირდაპირ ვიტყვი, თქვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმეში ძალიან დიდი პროგრესი შევამჩნიე — თქვა ერიხ ეპლემ — ახლა ფედერაციის ბუღალტერიაში ჩავიხედავ, აუდიტორებთან ერთად დასკვნას გავაკეთებ, ამას მერე უეფას ხელმძღვანელობას წარვუდგენ და გადავწყვეტთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარება ისევ ისე განვაგრძოთ როგორც დღესაა, თუ კიდევ უფრო მეტად.



ერიხ ეპლე და მერაბ ჟორდანია

საბოლოო გადაწყვეტილებას ოქტომბერ-ნოემბერში მივიღებთ, სამ-ოთხ თვეში კიდევ ჩამოვალ და ფედერაციას სხვა რეკომენდაციებსაც მივცემ. როგორც ვთქვი, პროგრესი ძალიან დიდია. ფედერაცია კარგად წარმართავს მენეჯმენტს, ეხმარება გუნდებს. ვიცი, რომ „ლოკომოტივი“, „დინამო“, „ტორპედო“ სტრუქტურულად ევროპულ სტანდარტს უახლოვდებიან. არ უნდა დაგვავიწყდეს „ბათუმიც“. ვნახე „ლოკომოტივის“ სტადიონი და მოხიბლული დავრჩი, გავეცანი ფედერაციის ოფისისა და ნაკრების ბაზის პროექტებს. არ მეგონა, თქვენი ფედერაცია ამ ერთ წელიწადში ამდენ საქმეს თუ გააკეთებდა. და რაც მთავარია, გაკვირვებული ვარ, მნიშვნელოვნად ამაღლდა ფედერაციის ინტელექტუალური დონე — განაცხადა ეპლემ.

**ძოვა ინასარიძე**

# ოთარ ხიზანეიშვილის როსტოვული შანსი

... გადავიდა მოსკოვის „სპარტაკში“, რამდენიმე თამაში ძირითადშიც ჩაატარა და სარეზერვო გუნდში გაამწესეს. მიზეზი არაერთი შეიძლება იყოს, თუნდაც მისი სიფიცხე, ანაც გაუთავებელი ტრავმები. ფაქტი ერთია, ოთარ ხიზანეიშვილმა რუსეთის ჩემპიონის რიგებში ფეხი ვერ მოიკიდა. არადა, მასზე დიდი ავანსები იყო გაცემული.



ოთარი იმანაც ვერ დაამშვიდა, რომანცევი დღე-დღეზე თამაშს რომ ჰპირდებოდა. ვერც ჩემპიონთა ლიგის განაცხადში მოხვედრამ მოულბო გული.

„რად მინდა რომანცევის შეპირებები. უკვე ნერვები აღარ მყოფნის. მეუბნება კარგად მოემზადე, უნდა გათამაშოო. როდის მენდობა, ალბათ, მაშინ, როცა ფეხბურთის თამაში დამავიწყდება“. ახალგაზრდულ გუნდში საიტალიო შეკრებაზე ჩამოსული ხიზანეიშვილი რომანცევს და მის „სპარტაკს“ აშკარად არ ემადლიერებოდა.

„აი, მოვილევ სანაკრებო თამაშებს, დავბრუნდები და რომანცევსაც დაველაპარაკები. „სპარტაკს“ თავი უნდა დავაღწიო“ — წასვლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოთარს.

ეტყობა, ხიზანეიშვილმა თავისი გაიტანა. გუშინ ჩვენმა მოსკოველმა კოლეგებმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს:

„უახლოეს მომავალში მოსკოვის „სპარტაკის“ ორი ფეხბურთელი — ოთარ ხიზანეიშვილი და ჯაფარ ირისმეტოვი როსტოვის „როსტსელმაშს“ მიაშურებენ.

ეს მოთამაშეები ვერ დამკვიდრდნენ გუნდის ძირითადში. არადა, ხიზანეიშვილს საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა მცველად აღიარებდნენ, ირისმეტოვს კი უზბეკეთის ნიჭიერ ფორვარდად. როსტოვში მათ დააკვირდებიან და „როსტსელმაშიც“ საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მიიღებს“.

იმედი გვაქვს, ჩვენებური როსტოველებს თავს მოაწონებს და გუნდის ძირითადშიც ადგილს დაიმკვიდრებს. შეგახსენებთ, რომ „როსტსელმაშივე“ ირიცხება ნაკრების მეკარე დავით ხმელიძე, რომელიც ჯერჯერობით სარეზერვო გუნდშია.

**გამუძა ძვანტალიანი**

# რიდელები ცოტა ხნით ვერდლები გახდებიან

**ხვალ** ქართული კლუბისთვის პირველი ევროპული გამოცდა იწყება, ინტერტოტოს თასზე „ვიტ ჯორჯიას“ დებიუტია.

ვეტერინარები სასტუმრო „მესაზღვრეში“ იმყოფებიან შეკრებაზე, დღეში ორჯერ ვარჯიშობენ და მეტოქესაც კარგ ხასიათზე ელიან.

ავსტრიელები თბილისს დღეს, საღამოს 5 საათზე ეწვევიან. აეროპორტიდან სასტუმრო „ვერე პალასში“ გასწევენ და ხვალამდე დარჩენილ საათებს ძალების აღსადგენად და დასასვენებლად გამოიყენებენ.

„რიდი“ ხვალ დილით „ეროვნულს“ ესტუმრება და ერთი საათი წაივარჯიშებს. „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის თქმით, ავსტრიელები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოდიან. ერთადერთი გამონაკლისი, შესაძლოა შავკანიანი მცველი მაპეზა იყოს, თურქული „გალათასარაის“ ყოფილ უკანახაზელს მიკროტრავმები აწუხებს.

„ვიტ ჯორჯია“ ბოლო ვარჯიშს „ეროვნულზე“ დღეს საღამოს ჩაატარებს. მერე კი...

**დათო დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანჩინი - მწვრთნელი პირველად აღზევდა

# ჩინი მანჩინის, თასი იეზს

## იტალია

**თასის ფინალი. II მატჩი**

**ფიორენტინა 1:1 პარმა (1:0)**

0:1 მილოშევიჩი (38), 1:1 ნუნუ გომეში (65)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, მორეტი (ნუნუ გომეში 45), მარკო როსი, დი ლივიო, ამარალი, ვანოლი (ბრესანი 76), რუი კოშტა, კიეზა (ლასისი 89)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პარმა: გუარდალბენი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი (ფუზერი 71), ალმეიდა (აპია 82), ლამუში, ჟუნიორი, მიკუ (მბომა 85), მილოშევიჩი, დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
40 000 მაყურებელი

**მაშ ასე,** იტალიის თასი „ფიორენტინამ" მოიგო, ხოლო ახალგაზრდა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ, პროფესიასთან შეჭიდების პირველსავე წელიწადს ჯილდო მოიპოვა — საპასუხო ფინალური მატჩი ფლორენციელებსა და „პარმას" შორის 1:1 დამთავრდა და ვინაიდან პირველ შეხვედრაში, სტუმრად, „ფიორენტინას" 1:0 ჰქონდა მოგებული, თასიც „იებს" გადაეცა.

„არტემიო ფრანკიზე" ანგარიში 38-ე წუთზე გაიხსნა. პარმელმა სავო მილოშევიჩმა ბურთს მასპინძელთა კარის ბადე მოაძებნინა და, შესაბამისად, ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა. ამრიგად, თასის მოსაპოვებლად და დამატებითი დროის თავიდან ასაცილებლად, ფლორენციელებს გოლი სჭირდებოდათ. ამ მიზნით, რობერტო მანჩინიმ მცველის, ემილიანო მორეტის ნაცვლად მოედანზე პორტუგალიელი თავდამსხმელი ნუნუ გომეში შეიყვანა. ეს შეცვლა შესვენების დროს მოხდა, ხოლო შესვენების შემდეგ, 20 წუთში, ყოფილმა ბენფიკელმა ბომბარდირმა მარჯვენა ფეხით მართლაც გაათანაბრა ანგარიში — „ფიორენტინას" მეექვსედ მოაგებინა ეს ეროვნული ჯილდო.

მანამდე კი უპირატესობას „პარმა" ფლობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუმრები პარმულ შეხვედრაში ნაწვნევ მარცხს გადაძლევდნენ და მწვრთნელი რენცო ულივიერი კარიერაში პირველ დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ... დროშებით და პლაკატებით დაფარული „არტემიო ფრანკის" ტრიბუნების წინაშე თასი ფლორენციელთა კაპიტანმა, გოლის ავტორის თანამემამულემ, პორტუგალიელმა რუი კოშტამ აღმართა. ეს გახლდათ კლუბის მიერ ბოლო შვიდ წელიწადში მოგებული მეორე ჯილდო.

როგორიც ამბობენ, ამავე შეხვედრაში დასრულდა მეკარის, ფრანჩესკო ტოლდოს კარიერა „ფიორენტინაში" — მომავალი სეზონიდან იგი ესპანეთს მიემგზავრება „ბარსელონას" კარის დასაცავად.

ამრიგად, „მილანთან" და „ინტერთან" ერთად, მომავალი სეზონიდან უეფას თასზე „ფიორენტინა" გამოვა.

საკუთრივ თამაშის სცენარი კი, ბუნებრივია, პირველი მატჩის ანგარიშმა განაპირობა: „პარმას" შინ წაგების გამოსასწორებლად შეტევა სჭირდებოდა, ხოლო „ფიორენტინას" ანგარიში ხელს აძლევდა და კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდა.

პარმელები, კერძოდ კი ბრაზილიელი ჟუნიორი და ფრანგი საბრი ლამუში მარცხენა ფრთას აკონტროლებდნენ მოხერხებულად, მაშინ როდესაც გამთამაშებელი იონ მიკუ და ფორვარდი სავო მილოშევიჩი მასპინძელთა დაცვას მუდმივი ხიფათით აშინებდნენ.

მერვე წუთზე, არგენტინელმა ნახევარმცველმა ნესტორ სენსინიმ თავურით კინაღამ მიაღწია მიზანს — ტოლდომ თავისი ცნობილი რეაქციით უკუაგდო ბურთი. მე-19 წუთზე კი მარკო დი ვაიოსა და მილოშევიჩის კომბინაცია იმით დასრულდა, რომ იუგოსლაველმა პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა.

„ფიორენტინა", თავის მხრივ, ძირითადად, კონტრშეტევაზე ცდილობდა ბედის გამოჭერას. 28-ე წუთზე კიეზას თავური, ოცდაორიდან ყველაზე დაბალმა, ჟუნიორმა გამოიტანა თავითვე, ზარიხის ქვემოდან, ხოლო რუი კოშტამ ორჯერ შორიდან შეამოწმა მეკარის, მატეო გუარდალბენის ოსტატობა.

შემდეგ, 38-ე წუთზე, როგორც მოგახსენეთ, „პარმამ" ანგარიში გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში „ფიორენტინა" მაყურებელს სხვა გუნდად მოევლინა, ანგარიშიც გაათანაბრა და თასიც მოიგო.

**ბაჩუნა ბედია**



უგოლოდაც საქმე ფლორენციელთა კაპიტანი რუი კოშტა (ბურთით)

## იტალიის თასის ყველა მფლობელი 1958 წლიდან

| | | | |
|---|---|---|---|
| 1958 | ლაციო | 1981 | რომა |
| 1959 | იუვენტუსი | 1982 | ინტერი |
| 1960 | იუვენტუსი | 1983 | იუვენტუსი |
| 1961 | ფიორენტინა | 1984 | რომა |
| 1962 | ნაპოლი | 1985 | სამპდორია |
| 1963 | ატალანტა | 1986 | რომა |
| 1964 | რომა | 1987 | ნაპოლი |
| 1966 | ფიორენტინა | 1988 | სამპდორია |
| 1967 | მილანი | 1989 | სამპდორია |
| 1968 | ტორინო | 1990 | იუვენტუსი |
| 1969 | რომა | 1991 | რომა |
| 1970 | ბოლონია | 1992 | პარმა |
| 1971 | ტორინო | 1993 | ტორინო |
| 1972 | მილანი | 1994 | სამპდორია |
| 1973 | მილანი | 1995 | იუვენტუსი |
| 1974 | ბოლონია | 1996 | ფიორენტინა |
| 1975 | ფიორენტინა | 1997 | ვიჩენცა |
| 1976 | ნაპოლი | 1998 | ლაციო |
| 1977 | მილანი | 1999 | პარმა |
| 1978 | ინტერი | 2000 | ლაციო |
| 1979 | იუვენტუსი | 2001 | ფიორენტინა |
| 1980 | რომა | | |

# დარჩიო, პაველ. დარჩა

**ჩეხი** პაველ ნედვედი „ლაციოში" დარჩა. მისი ახალი კონტრაქტი ხუთწლიანია. ნახევარმცველი წელიწადში 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს. „იუვენტუსი" კი...

არადა, „ბებერი ქალბატონი" მასში 34 მილიონი დოლარის გადახდას აპირებდა. ამას რომაელთა პრეზიდენტი სერჯო კრანიოტიც ადასტურებს:

„ტურინელებისგან ოფიციალური წინადადება მივიღე. მოგეხსენებათ, საუკეთესო ფეხბურთელებს ყოველთვის ითხოვენ".

„იუვენტუსმა" ნედვედზე იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ ერთი ხნის წინ ხმა დაირხა, ჩეხი წუწუნებს, კრანიოტი დასანახად არ ჩანს, არადა, ხელფასი (დაახლოებით იგივე, რაც დაუტოვეს) ეცოტავებაო. მაგრამ ნედვედი, რომელიც „ლაციოში" ხუთი წლის წინ პრაღის „სპარტადან" გადავიდა, ამბობდა: „რომში თავს ბედნიერად ვგრძნობ. მინდა ისეთი გადაწყვეტილება მივიღო, მომავალში სანანებელი არ გამიხდეს. ამას კი იმიტომ ვაცხადებ, რომ ჩემთვის მთავარი მოედანზე ასპროცენტიანი თვითრეალიზაციაა. ერთი სიტყვით, ჯერ უნდა გამოვიკვლიო, შეუძლია თუ არა „ლაციოს" ძველებური პირობები შემიქმნას".

აქ, იყო კიდევ ერთი მომენტი: კრანიოტის გულში მართლაც ჰქონდა ნედვედისა და ხუან სებასტიან ვერონის გაყიდვა, რადგან საფონდო ბირჟაზე „ლაციოს" 30 ივნისისთვის 45 მილიონი დოლარი სჭირდება. მეორე მხრივ, ეს ორი ფეხბურთელი არ ეთმობოდა მწვრთნელს, დინო ძოფს. ამრიგად, საჭირო იყო ბალანსი, რომელიც კლუბის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე უნდა მოძებნილიყო და მოიძებნა კიდეც — ვერონისა რა მოგახსენოთ და ნედვედი რომში რჩება.



პაველ ნედვედი

# ორმაგი ტანჯვა

**ძველი** ამბავია: კვირას „პარმამ" შინ წააგო „ვერონასთან" (1:2) და „ვერონას" კონკურენტის „ნაპოლის" პრეზიდენტ, ჯორჯო კორბელის, ეჭვი გაუჩნდა, რომ მეტოქეები გარიგებულნი იყვნენ. კორბელიმ, დაუსაბუთებელი ეჭვის და სხვათა შეურაცხყოფისთვის იტალიის ფეხბურთის ფედერაციისგან საყვედური მიიღო, მისი საქმე კი სადისციპლინო კომიტეტს გადაეცა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და თავად ფედერაციასაც გასჩენია ეჭვი, ოღონდ სულ სხვა...

თუ კარგად გახსოვთ, კორბელიმ თავისი ვერსიის მეტ-ნაკლებად დასასაბუთებელად ასეთი რამ თქვა: „ვერონას" პრეზიდენტი ჯამბატისტა პასტორელო, ადრე „პარმას" პრეზიდენტის ტანცის სამსახურში იდგა და გარიგებაც აქედან მოდისო. და ფედერაციამ გამოძიება წამოიწყო: ორმაგ მეპატრონეობასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

„ჰკითხეთ ჩემს ფეხბურთელებს, ვინ უხდის ხელფასს და მიხვდებით ვინ არის „ვერონას" პატრონი" — განაცხადა პასტორელომ.

მაგრამ კორბელიმ, რომელსაც ყველაზე მეტად სამი ქულისა და, შესაბამისად, სერია A-ში დარჩენის ამბავი აღელვებს, გალვივებული ეჭვი თითზე დაიხვია: „გინდათ სიმართლე? „ვერონა" ფეხზე ტანცების ფულით არის დამდგარი და შესაბამისად ტანცებს ამ კლუბში თავისი ინტერესი აქვთ. ეს წესების დარღვევაა და „პარმას" ორმაგად მსახურება. კანონით ორი კლუბის პატრონობა აკრძალულია, ამიტომ გამოძიება უნდა ჩატარდეს, ხოლო „ვერონა" სერია B-ში დაიფრინონ".

თუ ასე მოხდება, „ნაპოლი", ალბათ, მომავალ სეზონშიც სერია A-ში ითამაშებს. მაგრამ, სანამ რაიმე გაირკვეოდეს, ჩვეულებრივი საფეხბურთო წესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამიტომ, ჩავხედოთ კალენდარს: ბოლო ტურში, რომელიც ზეგ, კვირას გაიმართება, „ვერონა" „პერუჯას" მასპინძლობს, „ნაპოლი" კი ფლორენციაში „ფიორენტინას" სტუმრობს. რაც შეეხება ტანცების „პარმას", იგი რომში ჩადის და „სტადიო ოლიმპიკოზე" ტურის, თუ წლის არა, უმთავრეს შეხვედრას მართავს: ამ შეხვედრაში გაირკვევა გახდება თუ არა „რომა" იტალიის ჩემპიონი.

**ბაჩუნა ბედია**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# NANDROLONE



# ნანდროლოფიკაცია

## ფრანკ დე ბურის სამი დღე და მთელი ცხოვრება

**დიეგო მარადონას** მერე ფრანკ დე ბურისა და ედგარ დავიდსის დოპინგის ხმარებაში მხილება ამ დანაშაულთან დაკავშირებული ყველაზე სკანდალური ამბავია. და აი, კვანძიც გაიხსნა — გუშინ უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ფრანკ დე ბურს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

მოკლედ გავიხსენოთ. ბარსელონელ ტყუპისცალს 15 მარტს უეფას თასის მეოთხედფინალში „სელტა“ — „ბარსელონას“ მატჩის შემდეგ ჩვეულებრივი ანალიზი აუღეს, რომლის პასუხიც არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. ფეხბურთელი ბევრს ირწმუნებოდა და ირწმუნება, შეგნებულად არაფერი მიმიღიაო, მაგრამ უეფასეული ვერდიქტი უკვე გაგაცანით.

ფრანკ დე ბურისთვის ეს უნდა ნიშნავდეს

— რომ ის ვერ ითამაშებს „ვალენსიასთან“ საკვირაო მატჩში, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი გუნდი უნდა დაასახელოს;

— რომ ის ვერ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც გაისად 31 მაისს იწყება;

— რომ მისი საფეხბურთო კარიერა ფაქტობრივად დამთავრდა, რაკი 31 წლის კაცისთვის ერთწლიანი უთამაშებლობა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე პატარა ბიჭისთვის.

მაგრამ ფრანკ დე ბურს მაინც აქვს იოტისოდენა შანსი, რომ ეს ყველაფერი აიცილოს.

უეფასეული გადაწყვეტილება მაშინ ამოქმედდება, როცა „ბარსელონა“ და ფეხბურთელი უეფასგან ოფიციალურ წერილობით შეტყობინებას მიიღებენ, რაც გუშინ არ მომხდარა და თუ კვირამდე არ მიიღეს, დე ბური „ვალენსიას“ წინააღმდეგ ითამაშებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და შემდგომში თავად ჩემპიონატიც ფიფას ეგიდით ტარდება და ამიტომაც სანაკრებო მატჩებიდან დე ბურის მოკვეთის უფლება ფიფას აქვს. ფიფა კი ჯერ არ დათანხმებულა უეფას გადაწყვეტილებას.

უეფა ფეხბურთელს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის სამდღიან ვადას უტოვებს და აპელაციამ ეგებ შედეგი გამოიღოს. ამით ტყუპისცალის კარიერა გაგრძელდება.

თავად დე ბური კი ამბობს: „გაოგნებული ვარ, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ. ჩემს უდანაშაულობას აუცილებლად დავამტკიცებ“.

**გიორგი დარჯანია**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა
(ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

# ასე, ექვსი-შვიდი ბოთლი ჩაეტ...

## რუსებმა ახალი თასი გამოფინეს

**მოსკოვში** „მანეჟკის“ სავაჭრო კომპლექსში რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ქვეყნის ახალი თასი გამოფინა. იდეის ავტორებს ძალიან უნდოდათ ეს პრიზი ძველი, საბჭოთა თასის მსგავსი ყოფილიყო, მაგრამ ან მახსოვრობამ, ანაც დიზაინერებმა უღალატეს.

თასი, რომელსაც რუსები 1993-2000 წლებში ათამაშებდნენ, სამუდამოდ დარჩება მოსკოვის „ლოკომოტივს“. ძველი, საბჭოთა ბროლის პრიზი კი, რომელიც თავის დროზე ორჯერ თბილისის „დინამოსაც“ მოუგია, მის ბოლო მფლობელს, მოსკოვისვე „სპარტაკს“ სამარადჟამოდ დაუტოვეს.



საბჭოთა თასი 1936 წელს ერთ-ერთ ანტიკვარულ მაღაზიაში შეიძინეს და მერე მას 56 წლის მანძილზე ათამაშებდნენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ფინანსური დირექტორი ვიქტორ გრუზდევი ახლაც იმავე გზით წასულა და დედაქალაქის ანტიკვარული მაღაზია-სალონები შემოუვლია, მაგრამ მსგავსი რომ ვერაფერი უნახავს, პრიზი ქალაქ გუს ხრუსტალნის ქარხანაში შეუკვეთავთ. დამზადებას წელიწადნახევარი დასჭირვებია. ქმნილება 15 კილოგრამს იწონის, აქედან 6,3 კილოგრამი ვერცხლია, დანარჩენი — ბროლი.

თასი „მანეჟკაზე“ 18 ივნისამდე დარჩება. 18-ში დილით საფეხბურთო კავშირში წაიღებენ, ორი დღის შემდეგ კი „დინამოს“ სტადიონზე მიიტანენ, სადაც ქვეყნის თასის ფინალში მისი პირველი მფლობელი გაირკვევა — ან ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“, ანაც მახარყალის „ანჟი“.

იქაურები ამბობენ, თასი კარგი გამოვიდა, ასე ექვსი-შვიდი ბოთლი შამპანურიც თავისუფლად ჩაეტევა და გამარჯვებულებიც გვარიანად მოილხენენო.

**სოლომონ გულისაშვილი**

# რა ბარსელონა, რის ბარსელონა!

## ხავიერ სავიოლა „რივერ პლეიტში“ ახალ მწვრთნელთან რჩება

**ის არ იყიდება** — განაცხადა „რივერ პლეიტის“ დირექტორმა რუდოლფო კუინამ. ეს სიტყვები კლუბის ამომავალ (ეგებ, ამოსულსაც) ვარსკვლავ ხავიერ სავიოლას ეხება. დირექტორის ცნობით, 19 წლის ფეხბურთელმა „რივერთან“ ახალ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.



საბოლოოდ მოეღო ბოლო გაუთავებელ ჭორებს, თითქოს სავიოლათი ევროპის წამყვანი გრანდები, მათ შორის ყველაზე მეტად „ბარსელონა“ და მადრიდის „რეალი“ არიან დაინტერესებულნიო. პასუხად კუინამ ბრძანა, არ ვიცი, საიდან ავრცელებენ ცნობებს, თითქოს სავიოლას ევროპაში გადასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო, ხომ ხედავთ, საპირისპირო მოხდა, ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა.

ადრე ითქვა, რომ „რივერ პლეიტი“ „ბარსელონასთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას. კატალონიური კლუბი არგენტინელებს 20 მილიონ დოლარს სთავაზობდა. სამხრეთამერიკელები კი 25 მილიონს ცენტსაც არ უკლებდნენ, რის გამოც მხარეები საბოლოო შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ.

სავიოლა ნოემბერში 20 წლის შესრულდება. იგი „რივერ პლეიტში“ პირველად 1999 წელს გამოჩნდა. მის ნიჭსა და პოტენციალზე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. შედეგად, არგენტინის ნაკრებში გამოიძახეს, ამ სეზონში კი, აპერტურასა და კლაუსურაში 15 გოლი გაიტანა.

წლეულს „რივერ პლეიტმა“ კლაუსურა ვერ მოიგო, რის გამოც მწვრთნელმა ამერიკო გალიეგომ თანამდებობა დაკარგა. თუმცა კლუბში სავიოლაც დატოვეს და განაცხადეს, რომ უმეტეს წამყვან მოთამაშეებს შეინარჩუნებენ. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას ახალი სეზონისთვის სერიოზული გეგმები აქვს. მიზანდასახულობის დასტურად „რივერის“ დირექტორმა თქვა, რომ მწვრთნელად რამონ დიასის მიწვევას აპირებს. კონტრაქტი ოფიციალურად მომავალ კვირას უნდა გააფორმონ.

უნდა აღინიშნოს, რომ დიასს „რივერში“ ადრეც უმუშავია და იგი დაახლოებით წელიწადნახევრის წინ იმავე ხელმძღვანელობამ მოხსნა, რომელიც ახლა კვლავ იწვევს.

„რივერ პლეიტის“, „ნაპოლის“, „ინტერისა“ და „მონაკოს“ ყოფილმა მოთამაშემ სამწვრთნელო კარიერა 90-იანი წლების შუაგულიდან დაიწყო და „რივერს“ ჩაუდგა სათავეში. სამჯერ მოაგებინა კლაუსურა და აპერტურა და ერთხელაც ლიბერტადორესის თასი. შემდეგ დროებით ჩამოშორდა მწვრთნელობას, თუმცა მალევე დაბრუნდა, კვლავ გახადა „რივერი“ არგენტინის საუკეთესო კლუბი და სამხრეთამერიკის სუპერთასიც მოიგო. შარშან, კლუბის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი გაათავისუფლეს. მაშინ მიზეზად ხელმძღვანელებთან უთანხმოება დასახელდა.

„საბოლოოდ იმ აზრამდე მივედით, რომ კვლავ დიასი მოვიწვიოთ“ — განაცხადა დირექტორმა კუინამ.

**ნიკა ზუბლაძე**



☎ (231) 7 17 58

ქუთაისში

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის პროსპექტი №8, კინოთეატრ "სულიკოსთან"

# ბევრჯერ ამერიკაში

## მსაჯი, რა თქმა უნდა, ცემეს, ბოთლები ხომ ისროლეს, მწვრთნელი კი... დაჭრეს

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

1/2 ფინალი. II მატჩი

**პალმეირასი (ბრაზილია) 2:2 (პენ.2:3) ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (2:2)**

0:1 გაიტანი (2), 0:2 რიკელმე (17), 1:2 ფაბიო ჟუნიორი (37), 2:2 ბერმუდესი (67ს.გ.)

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ალეშანდრე, ლეონარდო, ფელიპე (არჟელი 83), გალეანო, მაგრაო, ლოპესი, ალექსი, ჟუნინიო (დარიო მუნიოსი 58), ფაბიო ჟუნიორი (ბასილიუ 81)

ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, ბურდისო, მატელანი, პინტუ (ბატალია 83), სერნა, ტრავერსო, რიკელმე, გაიტანი, გიმენესი (მ. დელგადო 69)

გაძევება: ალეშანდრე (45), მატელანი (85)

25 000 მაყურებელი

**ევროპულ** მატჩებზე ხშირად გვიწევს წერა და მათი გვარიანი ნაწილი ისეთი მოსაწყენია, ფაქტობრივად, საწერიც არაფერია. აი, სამხრეთ ამერიკაში თითქმის ყოველ შეხვედრაში, ფეხბურთელები რაგინდ უნიათოდაც უნდა ირჯებოდნენ, იმდენი რამ ხდება საინტერესო, სალაპარაკო არ გელევა. ხან ფეხბურთელს მინდორზე ძაღლს მიუქსევენ, ხან გულშემატკივრები გადაცვივდებიან და მოთამაშეები უტრუსოდ დატოვებენ, ცემა-ტყეპა ხომ ჩვეულებრივი ამბავია. ერთხელ მინდორზე ისეთი ჩხუბი ატყდა, ცხრა ფეხბურთელი პოლიციაში მიაბრძანეს. ერთი-ორჯერ სასამართლოს ჩარევაც გახდა საჭირო, რომელმაც სულაც ტურის გადადება ბრძანა.

ახლა „პალმეირას" — „ბოკა ხუნიორსის" შეხვედრაზეც მოვყვეთ.

სტუმრებმა, რომლებსაც პირველი მატჩის შედეგის გათვალისწინებით, სასაცილოდ სულაც არ ჰქონდათ საქმე, მეორე წუთზევე გაიხარეს — ვალტერ გაიტანიმ პირველი გოლი გაიტანა. მასპინძლებს ეს ამბავი, აბა, როგორ გაახალისებდათ, არადა, გოლი კომიკურ ვითარებაში გავიდა — ორი პალმეირასელი მცველი ერთმანეთს შეასკდა და სანამ მინდორზე გორაობდნენ, არგენტინელმა თავისი საქმე გააკეთა.

ამ გოლიდან მეოთხედ საათში ანუ მეჩვიდმეტე წუთზე „ბოკამ" მეორეც შეაგდო. მართალია, ამჯერად კურიოზული არაფერი მომხდარა, მაგრამ გოლის ავტორი ხუან რამონ რიკელმეს თამაში დიდებული გახლდათ — საჯარიმოს კუთხიდან გიჟური გარღვევა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

ცხადია, ასეთ დასაწყისს „პალმეირასი" არ ელოდა, მაგრამ ბრაზილიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გონს მალევე მოეგენ და ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ერთი ბურთი გაქვითეს. კიდევ ორი წუთიც და ერთი ისეთი შემთხვევა მოხდა, თავში რომ ვთქვით, სამხრეთ ამერიკაში მუდამ ასეაო.



REUTERS საგან მოვაწოდეთ

მარკოსმა „პალმეირასი" ვერ იხსნა

მავანი სანპაულუელი ფანი, „პალმეირასის" მაისურაში გამოწყობილი, მინდორზე შეიპარა. მსგავსი რამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „ბაიერნი" — „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩის წინაც გვახსოვს, როცა კანტონასნაირი კაცი მანჩესტერელებთან დადგა და გუნდური ფოტო გადაიღო, მაგრამ მსგავსება ამით მთავრდება. პალმეირასელი ფანის მიზანი ის გახლდათ, რომ თანამსაჯთან შეუმჩნევლად მიპარულიყო და ეცემა. სანამ გაირკვეოდა, რომ მინდორზე დასაშვებზე ერთით მეტი პალმეირასელი იყო, ჩვენმა ანტიგმირმა თავისი გააკეთა — თანამსაჯი კარატეს ილეთით დასცა, ფეხი სახეში ჩასცხო. დამნაშავე გაიყვანეს, თანამსაჯი კი ექიმებმა მოასულიერეს და მანაც მოვალეობის შესრულება განაგრძო.

პირველი ტაიმის წამატებულ დროში უკვე ალეშანდრემ „გამოიჩინა" თავი და სტუმარ მაურისიო სერნას არანაკლებად ჩასცხო, რითაც წითელი ბარათი დაიმსახურა.

საინტერესო ამბები შესვენების დროსაც მოხდა. გასახდელისკენ მიმავალ ბოკელებს ტრიბუნებიდან ბოთლები დაუშინეს, VII ლოჟის გამოსასვლელთან კი მათი მწვრთნელი კარლოს ბიანკი დაჭრეს.

ბიანკი ლოჟაში იმიტომ იჯდა, რომ პირველ მატჩში მსაჯმა ის სათადარიგოთა სკამიდან გააძევა და დისკვალიფიკაცია ამ მატჩზეც მისცეს. შესვენებისას მას გასახდელში უნდოდა ჩასვლა, მაგრამ გზად უცნობმა პირმა რკინის საგანი ჩაარტყა და თავი გაუტეხა, თუმცა ბიანკი მაინც იოლად გადარჩა და თავშეხვეულმა მატჩის ყურება განაგრძო.

მეორე ტაიმიც, პირველის მსგავსად, საოცრად უხეში გამოდგა, თუმცა კოლუმბიელმა არბიტრმა ოსკარ რუისმა წითელი ბარათის ამოსაღებად ჯიბეში ხელი მხოლოდ ერთხელ ჩაიყო და შეხვედრის მიწურულს სტუმარი ანიბალ მატელანი გააძევა. აქვე აღვნიშნოთ, რომ არბიტრმა მატჩის ხასიათის გათვალისწინებით ძალიან კარგად იმსაჯა.

მეორე ტაიმში ერთი გოლი გავიდა. მასპინძლებმა კუთხური ჩააწოდეს და არგენტინელთა კოლუმბიელმა კაპიტანმა ხორხე ბერმუდესმა ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. ამ ავტოგოლის წყალობით, საქმე პენალტებამდე მივიდა და უნდა გავიხსენოთ, რომ ამ გუნდების შარშანდელი ფინალიც ასევე პენალტებით დასრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ ამერიკაში დამატებითი დრო მიღებული არაა და პირდაპირ პენალტებს არტყამენ.

ამჯერადაც, ისევე როგორც შარშანდელ ფინალში, „ბოკა ხუნიორსის" მეკარე ოსკარ კორდობამ ორი პენალტი მოიგერია და მატჩის გმირი გახდა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS საგან მოვაწოდეთ

პროფესია გმირი: პენალტების მოგერიება „ბოკა ხუნიორსის" მეკარე ოსკარ კორდობასთვის ჩვეული საქმეა



ლუის ფელიპე სკოლარი

# გინდათ მშვიდობა? ემზადეთ ომისთვის!

## დიდმა ფილმა დიდ ბიჭებს უხმო

**ლუის ფელიპე სკოლარი** საქმიანობას შეუდგა. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად გუშინწინ დაინიშნა და როგორც მოსალოდნელი იყო, უმალ სიახლეც შემოგვთავაზა. სკოლარიმ ლეაოს ბიჭებიდან უმეტესობა უბოდიშოდ მიაბრძანა და სახელოვან, ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელებს უხმო. ყვითელ მაისურას ველარ მოირგებენ ვამპეტასა და ვაშინგტონის მაგვარნი. სამშობლოში „დიდ ფილად" ცნობილმა ლუის ფელიპემ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო: ტეტრაკამპეონების რიგებში ის ხალხი დააბრუნა, ვინც ნამდვილად იმსახურებს სანაკრებო ადგილს. ბრაზილიელებს 1 ივლისს მონტევიდეოში ურუგვაის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩი აქვთ გასამართი, რომელიც მათი კონფედერაციათა თასზე მონაწილეობის გამო გადაიდო. ცხადია, მასპინძლები მოსაგებად ითამაშებენ. სამი ქულა მათ ჯგუფში მეოთხეადგილოსან ბრაზილიელებთან გაათანაბრებს და კორეა-იაპონიის საგზურის მოპოვების შანსსაც ერთიორად გაუზრდის. თავის მხრივ, სტუმრებსაც ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვება. მორიგი მარცხი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს დიდ სირცხვილს აჭმევს. თუ სკოლარის სანაკრებო დებიუტი წარუმატებელი გამოდგა, ვინძლო, ბრაზილიელები ფეხბურთის ისტორიის მანძილზე პირველად დარჩნენ პლანეტის უპირველესი ტურნირს მიღმა.

„დიდმა ფილმაც" საშველად დიდ ბიჭებს უხმო. მონტევიდეოში წამსვლელთა სიაში კვლავ იქნება ბებერი მგელი, ტორსიდის ჯილა, ოცდათექვსმეტი წლის რომარიო. მის მხარდამხარ შესაძლოა, ვიხილოთ ლეაოსგან შერისხული მეგოლეები — გალათასარაელი ჟარდელი და ბაიერნელი ელბერი. ნაკრების მაისურას მოირგებს 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო, დაცვას კი კვლავ კაფუ და რობერტო კარლოსი მიხედავენ.

სკოლარიმ ნაკრებში ლა კორუნიის „დეპორტივოს" ნახევარმცველი მაურო სილვაც გამოიძახა და დიდადაც გააკვირვა გულშემატკივარი. მწვრთნელმა კი განაცხადა, რომ სილვა გონიერი ფეხბურთელია და მოედნის ცენტრშიც საიმედო საყრდენია. „დეპორტივოს" ნახევარმცველი ფიზიკურადაც ძლიერია, ხისტი თამაშით გამოირჩევა და უფრო მეტად მეტოქეთა შეტევების ჩაშლა ემარჯვება. ასეთი კაცი „დიდი ფილის" სათამაშო ტაქტიკასაც კარგად მოერგება. როგორც ვიცით, სკოლარი მოედნის ცენტრში მოწინააღმდეგის შეჩერებას, თუნდაც აკრძალული ხერხებით, უდიდეს ყურადღებას აქცევს და ამგვარი სათამაშო სტილი მისი ხელწერის მთავარი ნიშანია.

სკოლარიმ უყურადღებოდ არც „რომას" ბრაზილიელები, მცველი ანტონიო კარლოსი, იგივე ძაგო და ნახევარმცველი ემერსონი დატოვა. ნაკრების შემადგენლობაში გამოძახებულნი არიან მილანელები: დიდა, სერჟინიო, როკე ჟუნიორი, აგრეთვე ლევერკუზენის „ბაიერის" უკანახაზელი ლუსიო.

მწვრთნელმა „პალმეირასის", „კრუზეიროს" და „ვასკუ და გამას" რამდენიმე ფეხბურთელიც შეიმატა და საბრძოლო შემადენლობასაც მოუყარა თავი. სკოლარი სერიოზულად ემზადება — მონტევიდეოში ომი იქნება. „დიდ ფილსა" და მთელ ბრაზილიას სამი ქულა სჭირდება და თუ ტეტრაკამპეონებს არ სურთ დიადი სახელის შერცხვენა, გასაკეთებელი უნდა გააკეთონ.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ყალბისმქნელებს ექვსი თვე

### რასინგს მეორე დივიზიონი

**კანარის** კუნძულების საფეხბურთო კლუბ „ლას პალმასის" ორი ლეგიონერი, ალვარო და ბაიანო, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ექვსი თვით მოკვეთა. ბრაზილიელები პირველები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ესპანური ფეხბურთის მესვეურებმა განსაზღვრული ვადით დისკვალიფიკაცია მისცეს. სამხრეთამერიკელები თაღლითობაში არიან მხილებულნი. ალვაროსა და ბაიანოს ევროკავშირული წესრიგის დარღვევა და საბუთების გაყალბება ედებათ ბრალად. როგორც გაირკვა, მათი პორტუგალიური პასპორტები სრულებითაც არ შეეფერება მათ წარმოშობას და არაკანონიერი გზითაა მოპოვებული.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ყალბისმქნელ ბრაზილიელებს მხოლოდ ექვსი თვით იძულებითი დასვენება აკმარა. არადა, კარგად გვახსოვს, თუ რა ხმაური იყო ატეხილი ამ ორი ფეხბურთელისა და „ლას პალმასის" გარშემო.

ამბოხი განაწყენებულმა სანტანდერის „რასინგმა" დაიწყო. კანტაბრიელები, რომელთაც ხელზე ბაიანოსა და ალვაროს თაღლითობაც ჰქონდათ დახვეული, „ლას პალმასთან" დაკარგული სამი ქულის დაბრუნებას ითხოვდნენ და ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში მოედანზე გაუსვლელობითაც იმუქრებოდნენ. „რასინგს" მხარი „ნუმანსიამაც" აუბა, მაგრამ ფედერაციამ, თქვენს გამო ჩემპიონატის მსვლელობას ვერ ჩავშლითო და ქულების დაბრუნებაზე უარი განაცხადა. ესპანური ფეხბურთის თავკაცებმა მხოლოდ თაღლითები დასაჯა და არეულობის მოთავე „ლას პალმასისგან" დაჩაგრული „რასინგი" ქვედა, სეგუნდადივიზიონისთვის გაიმეტა.

**გიორგი გაგარდაშვილი**







გლენ რიოდერის მთავარი მწვრთნელობა პაოლო დი კანიოს გულზე არ ეხატება

# აქაც გლენი
## ვესტ ჰემს მწვრთნელი უპოვეს

**ორწლიანი** კონტრაქტი და მილიონი გირვანქა — ეს თავად გლენ რიოდერისთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ გამოჩნდა: ლონდონური „ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობას ჯერ „ჩარლტონის" თავკაცმა ალან კრუბიშლიმ უთხრა უარი, მერე კი ალექს ფერგიუსონის თანაშემწე სტივ მაკლარენმა. ჰოდა, მომავალი ორი სეზონი კლუბს მაისში გადამდგარი ჰარი რედნაპის თანაშემწე გლენ რიოდერი გაწვრთნის. „ბავშვობიდან ამ გუნდის გულშემატკივარი ვიყავი და ვოცნებობდი, ოდესმე აქ მემუშავა" — თქვა გუშინ 45 წლის რიოდერმა, ვინც თავის დროზე „ნიუკასლში" და „უოტფორდში" თამაშობდა, 90-იან წლებში კი, სანამ რედნაპის თანაშემწე გახდებოდა, „ჯილინგემისა" და იმავე „უოტფორდის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

მოთამაშისა რა გითხრათ, მაგრამ რიოდერის სამწვრთნელო კარიერას შთამბეჭდავს ვერავინ უწოდებს: მისი ხელმძღვანელობით „ჯილინგემმა" 35 თამაშიდან 22 წააგო (1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის ივლისამდე), მომავალ სამ წელიწადში კი „უოტფორდი" 139 მატჩიდან მესამედზე მეტში დამარცხდა. სწორედ ამიტომაა, რომ აღმოსავლეთლონდონელი ფანობა არცთუ აღტაცებით შეხვდა მის გამთავარმწვრთნელებას.

„ჩვენ სხვა კანდიდატურებიც განვიხილეთ, მაგრამ გლენის სტრატეგია, დისციპლინა და ფსიქოლოგიური პროგრამა მეტად შთამბეჭდავი გამოდგა" — დაამშვიდა გულშემატკივრები „ვესტ ჰემის" დირექტორმა პოლ ოლდრიჯმა და ისაც თქვა, თუ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ვინმეს „აპტონ პარკის" სეზონური აბონემენტის უკან ჩაბარება მოუნდა, უარს არ გეტყვით და თანხას დავუბრუნებთო.

რიოდერს მართლაც დიდი სამუშაო ელის. წლეულს მე-15 ადგილზე გასვლით ისედაც დათრგუნული გუნდიდან წამყვანი ნახევარმცველი, ჰარი რედნაპის დისშვილი ფრენკ ლამპარდი მიდის — მასში „ჩელსი" 11 მილიონს იხდის და გარიგება ალბათ უახლოეს დღეებში შედგება კიდეც (გუშინ ლამპარდი კლაუდიო რანიერის შეხვდა). თუმცა პოლ ოლდრიჯი ახალ ბოსს დაპირდა, სასურველი მოთამაშეების შესაძენად სათანადო თანხას აუცილებლად ჩამოვალთო. ამასთან ერთად, „ვესტ ჰემში" ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაც თამაშობს. თუნდაც იგივე ჯო კოული, ვინც რიოდერზე თქვა, გადასარევი პიროვნება და ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელიაო. სამაგიეროდ, გუშინვე გაჰკრა კბილი ახალ თავკაცს ჭირვეულმა იტალიელმა პაოლო დი კანიომ.

მოკლედ, დღეს რიოდერს საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგენ, ხვალიდან იგი მუშაობას შეუდგება, ხოლო რა და როგორ, აგვისტოდან გამოჩნდება. ისე, ამ კაცმა „ვესტ ჰემის" ძირითადი გუნდი მოედანზე ერთხელ უკვე წარადგინა, როცა ახლახან დასრულებული სეზონის ბოლო შეხვედრაში მიდლსბროში 1:2 წააგო.

რაჩან „მიდლსბრო", უფრო ზევით კი სტივ მაკლარენიც ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ტინსაიდში ჩასვლის მეორე დღესვე სერ ალექსის ყოფილმა თანაშემწემ თავისი ახალი გუნდისთვის ახალი მოთამაშეების ყიდვა ბრძანა. სასურველთა შორის პირველი „დერბი ქაუნთის" თავდამსხმელი მალკოლმ კრისტია, რომელიც ორი წლის წინ დერბელმა 150 ათასად იშოვეს, ახლა კი 21 წლის ბომბარდირს (12 გოლი ბოლო სეზონში) შვიდ მილიონს აფასებენ. „მიდლსბრო" თანახმაა...

**ზიზა ძოზახიძე**

# აზია მანჩესტერის გავლენის სფეროა

**„მანჩესტერ იუნაიტედი"** თავის ერთგულ ფანებთან ერთად აზიის ქვეყნებში — მალაიზიაში, სინგაპურსა და ტაილანდში გაემგზავრა. ეს გახლავთ ცნობილი ინგლისური გუნდის ტრადიციული ტურნე, რომელსაც ყოველწლიურად მართავს ხანგრძლივი და მომქანცველი პრემიერლიგის შემდეგ. ეს ვოიაჟი გუნდის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა — აზიის ულარიბეს ქვეყნებში მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს საშუალება ეძლევა, გროშების ფასად ჩაიგდოს ხელში საკმაოდ პერსპექტიული ყმაწვილები.

თუმცაღა, აზიაში „მანჩესტერ იუნაიტედს" არა მარტო წმინდა საფეხბურთო, არამედ ფინანსური ინტერესებიც აქვს. აი, რა განუცხადა, „როიტერის" სააგენტოს „მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გუნდს სხვადასხვა ეროვნების 50 მილიონი მხარდამჭერი ჰყავს, ფაქტია, რომ კლუბის შემოსავლის დიდ ნაწილს სწორედ 7 მილიონიანი ინგლისელი გულშემატკივრებისგან ვიღებთ... ჩვენი მიზანია არა მარტო საფეხბურთო ბაზრის ათვისება, არამედ კლუბის ფინანსური ძლიერების ზრდა, ჩვენი აზიელი და სამხრეთამერიკელი გულშემატკივრების ხარჯზე, რომლებიც კლუბის სხვადასხვა ატრიბუტიკით არიან დაინტერესებულნი... გვსურს, აქედან მუდმივი შემოსავალი გვქონდეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ საცალო ვაჭრობის თვალსაზრისით, საკმაოდ რთული მდგომარეობაა, სასაქონლო ბრუნვაც მნიშვნელოვნად შემცირდა. 6 თვეში წინა მაჩვენებელთან შედარებით 13 მილიონი გირვანქით ნაკლები საქონელი გაიყიდა... ამ ფონზე საკმაოდ იმედიანად ვუყურებთ ჩვენს აზიურ ტურნეს, ეს ერთ-ერთი საშუალებაა გუნდის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა. სპონსორებთან ერთად შევეცდებით ავითვისოთ ეს თავისუფალი არე ამ საქმიდან ამონაგებ თანხას ისევ გუნდის გაძლიერებისთვის გამოვიყენებთ..."

**ზამუკა ნაცვალაძე**

# ფარინამ ვიდუკა და კიუელი ამერიკისთვის შეინახა

**ლიდსელები** — ჰარი კიუელი და მარკ ვიდუკა ვერ დაეხმარებიან ავსტრალიის ნაკრებს, რომელიც ახალ ზელანდიას 30 ივლისს ველინგტონში დაუპირისპირდება. მიზეზი უბრალოა, მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ფარინამ ისინი განაცხადში არ შეიყვანა.

— დიდი ევროპული სეზონის შემდეგ მოთამაშეებს დასვენება სჭირდებათ — თქვა ფარინამ. არადა, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად სამხრეთ ამერიკის მეხუთეადგილოსანს შეეჭიდება. წლევანდელი კონფედერაციის თასის გათამაშებაში კი ავსტრალიის ნაკრებმა ორივე ლიდსელის გარეშე მექსიკა, საფრანგეთი და ბრაზილია დაამარცხა.

ავსტრალიას ოკეანის ჯგუფში, სუსტ გუნდებთან უხდებოდა ბრძოლა და ლიდსელების გარეშე მეტოქეთა განადგურება არ გასჭირვებია. ჩამოყალიბდა ერთიანი ძლიერი გუნდი. და ფარინას აზრით, ამ ეტაპზე ლიდსელების მოწვევამ შეიძლება ნაკრები არიოს.

ფარინამ ბოლოს კი დაამატა, თუ ახალი ზელანდიის ბარიერს დავძლევთ, სამხრეთამერიკულ გუნდთან სათამაშოდ ორივე ფეხბურთელს მოვიწვევო.

**ლუზა ზეზეჩქორი**

## კატალონიის თასი. ფინალი

**ბარსელონა 2:2 (3:4 პენ.) ბალაგერი**

**ბარსელონა:** რეინა (არნაუ 46), პუიოლი (ბერმუდო 46), მარსელო, კადრადო, გაბრი, ზენდენი, ხავი, სიმაო, ლუის ენრიკე (ალბერტო 46), დე ლა პენია, ალფონსო

**გვახსენდება,** ბარსელონელები ამბობდნენ, კატალონიისა და ესპანეთის თასებს მაინც მოვიგებთო. „ბარსელონას" ახლა ესპანეთის თასისთვის ბრძოლაღა შერჩა.

ერთი შეხედვით უცნაურია, სად „ბარსელონა" და სად მეოთხე დივიზიონის „ბალაგერი". მაგრამ იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ზეგ „ბარსას" უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის „ვალენსიასთან", გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ თამაშს ნაკლები ყურადღებით მოეკიდა.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ ბარსელონელთაგან პენალტები ივან დე ლა პენიამ და ბუდევინ ზენდენმა გააფუჭეს.

**გიორგი დარჯანია**

იყიდება როტვეილერის ლეკვები



☎ 39 42 65
(საღამოს, 19⁰⁰-21⁰⁰)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიურმა** „პსვ ეინდჰოვენმა" „ტვენტეს" თავდამსხმელი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელის გადაბირების სურვილს „სანდერლენდი", „ტოტენჰემი", „ფეიენოორდი" და „აიაქსი" გამოთქვამდნენ, მაგრამ „პსვ ეინდჰოვენმა" „ტვენტეს" ყველაზე მეტი, 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა და ფეხბურთელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ეინდჰოვენური კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა „მანჩესტერ იუნაიტედში" გაყიდული რუუდ ვან ნისტელროი ღირსეულად უნდა შეცვალოს. ფორვარდმა, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებშიც გამოიძახეს, კონტრაქტზე ხელმოწერის დროს განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ ამ დიდებულ კლუბში ჩავირიცხე და ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ".

**ესპანური სააგენტოების ცნობით, მადრიდის „რეალი" ახლოაა მიზანთან, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" არგენტინელი მცველი დიეგო პლასენტე გადაიბიროს. 23 წლის ფეხბურთელი შარშან დეკემბრის შემდეგ „ლევერკუზენში" თამაშობს, ბუნდესლიგურ გუნდში იგი „რივერ პლეიტიდან" ჩაირიცხა. მადრიდულ კლუბს სატრანსფერო თანხა არ დაუსახელებია, თუმცა „ლევერკუზენი" სავარაუდოდ 15 მილიონ დოლარს მიიღებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ პლასენტეს ბოლო ხანს არგენტინის ნაკრებშიც იძახებენ.**

**ინგლისურმა** „ჩელსიმ" სურვილი გამოთქვა, მადრიდის „რეალის" მცველი ჯერემი ნჯიტაპი შეიძინოს. თანაც 22 წლის კამერუნელი მცველი „სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და თავადაც სურს სხვაგან გადასვლა. მან ერთ-ერთ სააგენტოს განუცხადა: „რეალიდან" წასვლას ვაპირებ და გავიგე, რომ „ჩელსიში" მეპატიჟებიან. ძალიან კარგი კლუბია და მოხარული ვიქნები, თუ მათ რიგებში ჩავირიცხები. ამბობენ, ლონდონელები კამერუნელის სანაცვლოდ 5,8 მილიონ გირვანქას იხდიან, მაგრამ „სამეფო კლუბს" თანხა ეცოტავება და 7 მილიონს ითხოვსო. ტრანსფერიც ამიტომ ჭიანურდება.

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონმა „შალკე 04"-მა თურქი ნახევარმცველი უნალ ალპუგანი სამშობლოში გაუშვა და მომავალი სეზონიდან იგი „რიზესფორის" ღირსებას დაიცავს. 27 წლის ფეხბურთელი გელზენკირხენულ კლუბში 1997 წელს ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი. თურქულ კლუბთან ახლა მან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**ჰოლანდიურმა** „აიაქსმა" „კრუზეიროს" მცველი მაქსველი გადაიბირა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამსტერდამულმა კლუბმა ბრაზილიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ახალი სეზონის დაწყებამდე მაქსველი „აიაქსის" უკვე მესამე ახალწვეულია. ამსტერდამულმა კლუბმა უკვე შეიძინა „ბილბაოს" ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი 5 მილიონ გირვანქად, ხოლო „გენტის" თავდამსხმელი აჰმედ ჰოსამი — 3 მილიონად.

## ჰოლანდია

### პლეი ოფი

**A ჯგუფი. IV ტური**

სიტარდი — ვოლენდამი (II) 3:1; ტელსტარი (II) — ზვოლე (II) 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტარდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვოლენდამი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ტელსტარი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ზვოლე | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |

**B ჯგუფი. V ტური**

ექსელსიორი (II) — გოუ ეჰედ იგლზი (II) 3:3; სპარტა — კამბური (II) 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 4 | 0 | 1 | 13:7 | 12 |
| კამბური | 5 | 3 | 0 | 2 | 10:9 | 9 |
| ექსელსიორი | 5 | 1 | 1 | 3 | 10:13 | 4 |
| გოუ ეჰედ იგლზი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | 4 |

## ლიტვა

მე-16 ტური: კაუნასი — საკალასი 4:0; ზელვეჟინისი — დაინავა 4:1; ვეტრა — ატლანტასი 0:2; ჟალგირისი — ეკრანასი 0:0; ინკარასი — ნევეჟისი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 15 | 12 | 2 | 1 | 34:5 | 38 |
| ატლანტასი | 15 | 11 | 2 | 2 | 31:13 | 35 |
| ჟალგირისი | 15 | 9 | 3 | 3 | 23:14 | 30 |
| ეკრანასი | 16 | 7 | 4 | 5 | 26:16 | 25 |
| ინკარასი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 20 |
| ნევეჟისი | 15 | 5 | 5 | 5 | 11:15 | 20 |
| საკალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:26 | 16 |
| ზელვეჟინისი | 15 | 4 | 2 | 9 | 15:18 | 14 |
| ვეტრა | 15 | 3 | 1 | 11 | 13:33 | 10 |
| დაინავა | 15 | 1 | 2 | 12 | 13:45 | 5 |

## საბერძნეთი

### გადასარჩენი პლეი ოფი

მე-2 ტური: იანინა — ოფი 2:0 (0:1); პანილიაკოსი — ზანთაიკი 3:2 (0:2)

## რუმინეთი

30-ე ტური: გლორია — ჩაჰლაული 2:0; ფორესტა — ბრაშოვი 1:0; უნივერსიტატეა — როკარი 3:1; ასტრა — დინამო 4:3; რაპიდი — ბაკეუ 1:0; სტიაუა — არჯეში 3:3; ოცელული — გაც მეტანი 3:0; ნაციონალი — პეტროლული 2:0

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 30 | 17 | 9 | 4 | 56:32 | 60 |
| დინამო | 30 | 15 | 6 | 9 | 56:44 | 51 |
| ბრაშოვი | 30 | 15 | 5 | 10 | 33:25 | 50 |
| რაპიდი | 30 | 13 | 10 | 7 | 38:25 | 49 |
| არჯეში | 30 | 12 | 10 | 8 | 42:42 | 46 |
| გლორია | 30 | 13 | 4 | 13 | 44:42 | 43 |
| ნაციონალი | 30 | 13 | 4 | 13 | 40:40 | 43 |
| უნივერსიტატეა | 30 | 11 | 8 | 11 | 34:38 | 41 |
| ასტრა | 30 | 11 | 7 | 12 | 41:36 | 40 |
| პეტროლული | 30 | 12 | 4 | 14 | 34:36 | 40 |
| ჩაჰლაული | 30 | 9 | 11 | 10 | 36:41 | 38 |
| ოცელული | 30 | 10 | 8 | 12 | 33:39 | 38 |
| ფორესტა | 30 | 8 | 12 | 10 | 39:43 | 36 |
| ბაკეუ | 30 | 9 | 7 | 14 | 38:45 | 34 |
| *როკარი* | *30* | *10* | *4* | *16* | *41:56* | *34* |
| *გაც მეტანი* | *30* | *3* | *9* | *18* | *21:42* | *18* |

*ბუქარესტის „სტიაუა" რუმინეთის ჩემპიონია, ბუქარესტის „როკარი" და მედიაშის „გაც მეტანი" II დივიზიონში გავარდნენ. „ფორესტა" და „ბაკეუ" 20, 24 ივნისს პლეი ოფში II დივიზიონელებთან ითამაშებენ.*

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

მე-20 ტურის მატჩი: ტატაბანია — მტკ 1:5

### თასის ფინალი

**დებრეცენი 5:2 ვიდეოტონი**

1:0 შამარი (39), 2:0 კერეკეში (47), 3:0 ბაიზატი (65), 3:1 ჟულინიო (77), 4:1 ულვეცკი (79), 5:1 ბაიზატი (85), 5:2 ზომბორი (89)



იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36



დასაწყისი იხ. „სარბიელი“ №70, №75, №80, №85, №90, №95, №100

# საფლავები

## ტრაგიკულ ამბავთა უცხოური ქრონიკა



ყველაზე უკარება ანაპურნას მასივი (მარცხნივ) და შვიდიათასიანი მწვერვალი მაჩაპუჩარი

**ჩვენი** სერიალის ბოლო წერილში გიამბეთ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ერთ სეზონში დატრიალებულ ყველაზე რიცხვმრავალ ტრაგედიაზე, როცა ევერესტმა ერთბაშად თერთმეტი მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა. ერთი წლით ადრე, 1995 წელს ამ მწვერვალის სიახლოვეს ზვავმა 61 კაცი იმსხვერპლა, მათ შორის მთამსვლელები და უფრო მეტი სამთო ტურისტი, აგრეთვე მათი მებარგულები. მაგრამ ამ ციფრს ევერესტის სამწუხარო სტატისტიკაში არ მოიხსენიებენ, რადგან ტრაგედია არც ამ მწვერვალის ფერდობებზე დატრიალებულა და არც მის საბაზო ბანაკში. მიუხედავად ამისა, ეს მწვერვალი თავის მსხვერპლთა რაოდენობით დიდი უპირატესობით ლიდერობს.

ევერესტზე ასვლა პირველად, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ჩრდილოეთიდან 1922 წელს სცადეს ინგლისელებმა და 6895 მეტრის სიმაღლემდე ააღწიეს. მათ მომდევნო წელსაც ისევ ჩრდილოეთიდან მიიტანეს იერიში და იმ დროისთვის ფანტასტიკურ სიმაღლეს, 8326 მეტრს მიაღწიეს, მაგრამ მაშინ ზვავმა ექსპედიციის შვიდი შერპი შეიწირა, რაც ამ მწვერვალის პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა.

მას შემდეგ, წლევანდელ სეზონამდე, ევერესტზე ასვლა 4500-მდე კაცმა სცადა, მათგან მიზანს 1314 კაცმა მიაღწია, 167 კი დაიღუპა. მათი ცხედრები სხვადასხვა სიმაღლეზე განისვენებენ. ერთნი ფიქრობენ, რომ დაღუპულთა გვამები იქვე უნდა დარჩეს, ისევე, როგორც ზღვაში დაღუპულ მეზღვაურებს ასაფლავებენ ზღვაში. მეორენი ჩამოსვენების მომხრენი არიან, მაგრამ ეს არავის უცდია, რადგან შეუძლებელი ჩანს.

მაშინ, 1996 წელს ევერესტზე დატრიალებული ყველაზე დიდი ტრაგედიის მერე, გამოთვალეს, რომ მათ შორის, ვინც ამ მწვერვალზე ასვლა სცადა, დაღუპულთა რაოდენობა 3,5 პროცენტი ყოფილა. მათ ეს ციფრი შეადარეს აშშ-ში ჩქაროსნული მატარებლების კატასტროფების შედეგებს და აღმოჩნდა, რომ ევერესტის მსხვერპლთა რაოდენობა 140 პროცენტით მეტია. პლანერიზმთან ანალოგიური შედარებით ევერესტი უფრო დაწინაურებულა და ეს მაჩვენებელი 160 პროცენტია.

თუ შევადარებთ ევერესტზე არა ასვლის ცდის მონაწილეებს, არამედ ამ მწვერვალის დამლაშქრავთა და დაღუპულთა რაოდენობას, მაშინ უფრო სამწუხარო სტატისტიკას მივიღებთ, რაც 14,1 პროცენტს შეადგენს.

ასეთი მუქი ფერების მიუხედავად, დედამიწის უმაღლესი მწვერვალი არ არის ისეთი საშინელებათა მთა, როგორც ამ ციფრებიდან ჩანს. თუ შევადარებთ ევერესტზე ამსვლელთა და მასზე დაღუპულთა პროცენტულ შედეგებს, დედამიწის უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოს 14 რვაათასიან პიკთა შორის მხოლოდ მეშვიდე აღმოჩნდება.

ამგვარი სტატისტიკის მიხედვით ვერც დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალი ჩოგორი (8611მ, იგივე K-2) ლიდერობს. მასზე წლევანდლამდე 189 კაცი ასულა და 49 დაღუპულა, რაც მას მესამე ადგილზე აყენებს.

პირველობაზე პრეტენზია არ აქვს არც სიმაღლით მესამე (8586მ), ხუთთავა კანჩენჯანღას, რომელმაც რვაათასიანებიდან მეორემ, 1905 წელს იმსხვერპლა მთამსვლელები (1 შვეიცარიელი და 3 შერპი).

კარგა ხანია ამ მხრივ პირველობა დაუკარგავს სიმაღლით „პატარა“, რვაათასიანებში მხოლოდ მეცხრე, მაგრამ მრისხანედ და სიკვდილის მთად შერაცხულ ნანგა პარბატს (8125მ, იგივე დიამირი).

მთელ დედამიწაზე არცერთ მწვერვალზე პირველასვლას არ შესწირვია იმდენი მთამსვლელი, რამდენიც ნანგა პარბატს. 1953 წლის, მანამ ჰერმან ბული მარტოდმარტო პირველი ავიდოდა ამ ექვსთავიანი მწვერვალის უმაღლეს წერტილზე, მის ფერდობებზე 32-მა მთამსვლელმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ეს მეტი იყო, ვიდრე დანარჩენ ცამეტ რვაათასიანზე ერთად აღებული.

ნანგა პარბატი საერთოდ პირველი რვაათასიანია, რომელმაც მთამსვლელები შეიწირა. შეგახსენებთ, რომ ეს მოხდა ჯერ კიდევ 1895 წელს, როცა მის ფერდობებზე ოთხი კაცი დაიღუპა.

ნანგა პარბატი ახლა მეორეა (წლევანდელი სეზონის შედეგების გაუთვალისწინებლად) დაღუპულ მთამსვლელთა (61) და მასზე ამსვლელთა რაოდენობის (186) პროცენტული შეფარდებითაც (32,8)

პირველ „ნომინაციაში“ იგი დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ჩამორჩება, მეორეში ერთ-ერთ ტანმორჩილ რვაათასიან ანაპურნას. სამაგიეროდ, ნანგა პარბატი გიგანტთა შორის პირველია ერთი ასვლის ცდისას დაღუპულ მთამსვლელთა რაოდენობით. მის ფერდობებზე ასეთი ტრაგიკული რეკორდი დამყარდა 1937 წელს, როცა ერთბაშად 16 კაცი დაიღუპა, რითაც თავისივე 3 წლის წინანდელ „მიღწევას“ 6 მსხვერპლით გადააჭარბა. ორივე უბედურება გერმანელთა ექსპედიციებს თავიანთ შერპებთან ერთად დაატყდა თავს. ათკაციანი მსხვერპლისას ექსპედიციას მეთაურობდა ვილი მიორკლი, ხოლო 16 მთამსვლელის აღსასრულისას კარლ ვინი.



1937 წელს ნანგა პარბატზე დაღუპული 16 გერმანელისა და შერპას საერთო მემორიალური დაფა

კარლ ვინის გუნდი ვილი მიორკლის ექსპედიციის ნაკვალევს გაუყვა. მან ოთხი საშუალედო ბანაკი მოკლე დროში გამართა, მაგრამ ბოლო, წინამორბედი ექსპედიციისგან განსხვავებით რატომღაც დასავლეთით, რაკჰიოტის პიკის (6700 მ) ყინულვარდნილის ქვეშ დადგა. არადა, შერპები, რომლებსაც ზვავების რაღაც საოცარი, ინსტიქტური გრძნობა ჰქონდათ, გერმანელებს დაჟინებით ურჩევდნენ, ბანაკი აქ არ დავდგათო.

ასე იყო თუ ისე, შვიდივე გერმანელმა მთამსვლელმა და ცხრა შერპმა თავი იქ მოიყარა, ქვემოთ კი მხოლოდ ექიმი და რამდენიმე შერპი დარჩა. დილით მოიერიშეები, უკლებლივ ყველანი, ზემოთ უნდა აბარგებულიყვნენ, რათა, იქ მეხუთე ბანაკიც მოეწყოთ და მწვერვალზე გადამწყვეტი იერიშიც დაეწყოთ.

იმ დროისთვის მშვენიერი ამინდი იდგა და გერმანელთა გუნება-განწყობილებაც მისი შესაფერისი იყო, მაგრამ შერპები მოუსვენრად წრიალებდნენ. ბოლოს შერპებსაც გერმანელთა განწყობა გადაედოთ. შებინდებისას ყველანი საძილე ტომრებში ჩაიფუთნენ და მშვიდად დაიძინეს, მაგრამ იმ ღამეს, 15 ივნისი დაიწყო თუ არა, რაკჰიოტის პიკიდან უზარმაზარი ყინულის მასა მოწყდა. ამას მძლავრი ზვავიც გადმოჰყვა და ეს ყველაფერი მეოთხე ბანაკს თავს დაატყდა. ყინულის უზარმაზარმა ლოდებმა და თოვლის უშველებელმა მასამ თექვსმეტივე მთამსვლელი მძინარენი ჩამარხა. მათი დაღუპვა მხოლოდ მეოთხე დღეს შეიტყვეს, როცა კატასტროფის ადგილზე ექსპედიციის ექიმი ავიდა. მერე აქ გერმანიიდან საგანგებოდ გაგზავნილი პაულ ბაუერის ჯგუფიც ავიდა, რომელმაც ზვავში დაღუპულთაგან ორის გარდა ყველა მოძებნა და ამოთხარა. მან გერმანელები მწვერვალის ძირში ჩამოასვენა, მიწასაც იქვე მიაბარა, შერპები კი, მათ თანამემამულეთა თხოვნით, დაღუპვის ადგილზე დატოვა და თოვლში ჩამარხა, თუმცა მერე ჩამოსვენებულთა და ქვემოთ დასვენებულთა საფლავებთან ერთი საერთო მემორიალური დაფა დადგეს.

ჰიმალაის ჩრდილო-დასავლეთის დაბოლოებაზე, პაკისტანში აღმართული ეს მწვერვალი ერთ-ერთია იმ ოთხიდან, რომელიც ნეპალის ტერიტორიაზე არ მდებარეობს.

ნანგა პარბატს ერთი ასვლისას დაღუპულ მთამსვლელთა რაოდენობით მხოლოდ ერთი კაცით ჩამორჩება ნეპალში აღმართული მანასლუ (8156 მ)

ამ მწვერვალზე ნეპალის ჰიმალაის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია 1972 წელს დატრიალდა. იმ წლის გაზაფხულზე მწვერვალს ერთდროულად ავსტრიისა და სამხრეთ კორეის ექსპედიციები უტევდნენ. ავსტრიელები სამხრეთ დასავლეთიდან ადიოდნენ, ხოლო კორეელები — აღმოსავლეთიდან ცდილობდნენ მიზნის მიღწევას.

სამხრეთკორეელებს მეთაურობდა კიმ ჰო სუპი, რომლესაც გასულ წელს იქ ძმა ჩაუვარდა ნაპრალში და დაიღუპა. კიმ ჰო სუპთან ამჯერად მისი მეორე ძმა და კიდევ 17 მთამსვლელი იყო.

10-11 აპრილის ღამეს, 6500 მეტრის სიმაღლეზე, მესამე ბანაკში ასულთ თავს უშველებელი ზვავი დაატყდათ. ექსპედიციის მეთაურის ძმამ და ორმა შერპმა კარვიდან გამოხტომა მოასწრეს, მაგრამ ისინი ზვავმა ჩაითრია და 700 მეტრით ქვემოთ გააქანა. როცა ვარდნა შეჩერდა და მთამსვლელებმა ის იყო ამოძრომა შეძლეს, მათ ზვავის ახალი ტალღა დაატყდათ და ახლა 300 მეტრით ქვემოთ ჩაიტანა. ეტყობა, მათ სიკვდილი არ ეწერათ ბედად, რაკილა სასწაულებრივ კვლავ გადარჩნენ. აი, კარვებში დარჩენილნი კი თხუთმეტივე დაიღუპა. მათ შორის: ოთხი კორეელი, ათი შერპი და ერთიც იაპონელი.

ერთბაშად ასეთი დიდი მსხვერპლი ნეპალის ჰიმალაის არ ახსოვდა, მაგრამ მანასლუ ამით არ დაწყნარდა და 12-13 დღის მერე ავსტრიელ მთამსვლელებს დაუყენა შავი დღე. 24 აპრილს რაინჰოლდ მესნერი და ფრანც ეგერი კარგ ამინდში ბოლო საიერიშო ბანაკიდან (7400 მ) მწვერვალისკენ დაიძრნენ. 7700 მეტრზე ასული ეგერი ისე დაიღალა, რომ კარვისკენ დაბრუნდა, მესნერი კი მარტოდმარტო ავიდა მწვერვალზე. ასვლისთანავე ქარბუქი ამოვარდა და იქაურობა თოვლის კორიანტელმა დაფარა. უკანდაბრუნებული მესნერი ალბათ კარავს ველარც მიაგნებდა და მის სიახლოვეს ამაოდ იბორიალებდა, თანაგუნდელებს ფარნების შუქით ბანაკის ადგილსამყოფელი რომ არ ენიშნებინათ.

კარვის სიახლოვეს მესნერს ეგერის ხმა ესმოდა, მაგრამ ვერც მესნერმა მიაგნო და ველარც მათმა თანაგუნდელებმა ჰორსტ ფანკჰაუზერმა და ანდი შლიკმა, რომლებმაც გზააბნეული ფრანცის ძებნა განაგრძეს. საუბედუროდ, მათ ვერც ეგერს მიაგნეს და მის ძებნაში შლიკიც დაიღუპა.

13 დღეში 17 ადამიანის დაღუპვა მართლაც უდიდესი მსხვერპლი იყო. ერთ სეზონში ამდენი მთამსვლელი სხვა არცერთ რვაათასიანზე არ დაღუპულა.

და მაინც რვაათასიანთა რიგში მანასლუ დაღუპულ მსხვერპლთა რაოდენობით (51) მეხუთეა, ხოლო მასზე ამსვლელთა (198) და დაღუპულთა პროცენტული შეფარდებით მეოთხე (26,8)

ამგვარი შეფარდებით ლიდერობს რვაათასიანთა შორის ერთ-ერთი ჯუჯა ანაპურნა (8091), რომელიც 14 უდიდეს მწვერვალთაგან პირველი და პირველსავე ცდაზე დანებდა (1950) ადამიანებს, თანაც უმსხვერპლოდ.

პირველი მთამსვლელი, რომელიც აქ დაიღუპა, იყო ინგლისელთა ექსპედიციის წევრი იან კლაფი, რომელსაც 1970 წელს ყინულის ვეება ლოდები დაატყდა თავს.

მას შემდეგ წლევანდელი სეზონის დასაწყისამდე ანაპურნაზე რვაათასიანთა შორის ყველაზე ცოტა 109 კაცი ავიდა. დაღუპულთა სიმრავლით კი დჰაულაგირთან (8167) ერთად მესამე-მეოთხე ადგილს იყოფს (55-55).

თუ შევადარებთ ანაპურნაზე ასულთა და იქ დაღუპულთა რაოდენობის პროცენტულ მაჩვენებელს (50,5), ეს მწვერვალი სხვებს დიდი უპირატესობით უსწრებს. მსხვერპლი ამსვლელთა რაოდენობის ნახევარზე მეტია.

ეს ყველაფერი ანაპურნას ყველაზე უკარება რვაათასიანის რეპუტაციას უქმნის, ყველაზე უწყინარი კი ჩო ოიუ ჩანს. მასზე 28 კაცი დაღუპულა, ამსვლელთა რაოდენობით კი ევერესტის მერე მეორეა — 1211. დაღუპულთა და ამსვლელთა პროცენტული შეფარდებით ეს სულ რაღაც ორი პროცენტია.

**რვაათასიანებზე ამსვლელთა და დაღუპულთა რაოდენობა (2001 წლის 1 იანვრამდე)**

| მწვერვალი | სიმაღლე | ამსვლელთა რაოდენობა | დაღუპულთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ევერესტი | 8 848 | 1 314 | 167 |
| ჩოგორი | 8 611 | 189 | 49 |
| კანჩენჯანღა | 8 586 | 162 | 39 |
| ლჰოცზე | 8 516 | 151 | 9 |
| მაკალუ | 8 463 | 167 | 20 |
| ჩო ოიუ | 8 201 | 1 211 | 28 |
| დჰაულაგირი | 8 167 | 298 | 55 |
| მანასლუ | 8 163 | 198 | 51 |
| ნანგა პარბატი | 8 126 | 186 | 61 |
| ანაპურნა | 8 091 | 109 | 55 |
| ჰიდენ პიკი | 8 068 | 162 | 17 |
| ბროუდ პიკი | 8 047 | 233 | 18 |
| გაშერბრუმი | 8 035 | 520 | 16 |
| შიშა პანგმა | 8 027 | 180 | 19 |

შენიშვნა: ამ მონაცემებში გათვალისწინებულია მხოლოდ რვაათასიანთა უმაღლესი მწვერვალების მონაცემები, ამასთან, ეს ციფრები, უმეტეს შემთხვევაში, მთლად ზუსტი არ არის. მაგალითად, ევერესტზე დაღუპულთა რაოდენობა სხვა მონაცემით 180-მდე აღწევს. რაც შეეხება ამსვლელთა რაოდენობას, გათვალისწინებულია განმეორებითი ასვლებიც (მაგალითად, ევერესტზე აპა შერპა თერთმეტჯერ ასულა, ბაბუ შერპა და ანგ რიტა — ათ-ათჯერ...) აქედან მაკალუ ერთადერთია, რომელზეც ორჯერ არავინ ასულა.

**ავთანდილ გურასპიშვილი**

*(დასასრული იქნება)*

NBA: ფინალი (ოთხ მოგებამდე)




ალენ აივერსონმა წინიდან და დიკემბე მუტომბომ უკნიდან ლეიკერსელ შაკილ ონილს ვერაფერი უქნეს

REUTERS




ლეიკერსელი კობი ბრაიანტი წამის შემდეგ ორ ქულას მიითვლის

# აივერსონს ხმა ჩაუწყდა

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 3 |
| ფილადელფია | 1 |

13 ივნისი

**ფილადელფია 86:100 ლეიკერსი**

**ფილადელფია:** მაკი (5), აივერსონი (35), ჯონსი, ჰილი (7), მუტომბო (19 ქულა, 9 მოხსნა); სნოუ (11), გეიგერი (6), ბაფორდი (2), ბელი (1), ლინჩი, ოლი, მაკალოფი

**ლეიკერსი:** ფიშერი (10), ბრაიანტი (19 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ფოქსი (7), გრანტი (2), ონილი (34 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი); ჰორი (9), ჰარპერი (8), ლუ (6), შოუ (5), მადსენი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ „ფილადელფიასთან“ პირველი მატჩის წაგებით შესანიშნავი შესაძლებლობა გაუშვა — პლეი ოფში თამაშის წაუგებლად გამხდარიყო ჩემპიონი. ცხადია, ლოსანჯელესელები იმ წაგებულ თამაშს ველარაფერს მოუხერხებენ, თუმც მეოთხე მატჩის მოგების შემდეგ მათ დამატებითი სტიმული აქვთ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მეხუთეც მოიგონ, რადგან პლეი ოფში მხოლოდ ერთი წაგებაც ნბა-ს ყველა დროის რეკორდი გახლავთ.

13 ივნისის თამაშის შემდეგ, სერიის პირველ მატჩში ამღვრეული წყალი შესამჩნევად დაიწმინდა და მომავალი ჩემპიონის კონტურებიც გამოიკვეთა. წინასწარ საუბარი არ გვსურს, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემთ და „ლეიკერსს“ წინასწარ შევრაცხთ ჩემპიონად, ამის საფუძველს კი ფინალისტთა რეალურ ძალებს შორის არსებული სხვაობა და სერიის ანგარიში იძლევა. 3:1 დაწინაურებულ დასავლელებს თავი ქუდში აქვთ და ამას ისტორიაც ადასტურებს, რომელსაც არ ახსოვს შემთხვევა, ვინმეს 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ჩემპიონის თასი აღემართოს.

შაკილ ონილსაც შეგვიძლია მივულოცოთ. მართალია მის გვერდით კობი ბრაიანტი თამაშობს, მაგრამ ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს ზედიზედ მეორედ შაკი მიიღებს, რადგან „ფილადელფია“ რომ ვერაფერს უხერხებს ამ 216-სანტიმეტრიან და ცენტნერნახევრიან გოლიათს, სწორედ ამიტომაა გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ ცნობილი. ისიც გავიხსენოთ, ვინ მეურვეობს შაკს? სეზონის საუკეთესო დამცველი და ამ ტიტულის ოთხგზის მფლობელი დიკემბე მუტომბო, მიუხედავად ამისა ონილის ბოლომდე გაჩერება ჯერაც ფილადელფიელთა ოცნების სფეროს განეკუთვნება. „ის ყველაფრის მთავარი მიზეზია. „ლიეკერსი“ შაკილ ონილით იწყებს და შაკილ ონილით ამთავრებს. მე სულაც არ ვარ იმედგაცრუებული, ამას აქამდეც მოველოდი. ის ზედმეტად დიდია, ყველასთვის ზედმეტად ლონიერი და რასაც მოისურვებს, აკეთებს. მსგავსი არაფერი მინახავს ცხოვრებაში. ალბათ ასეთი იყო უილტ ჩემბერლენი“ — ასე დაახასიათა ამ სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ, ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა თავისი წინამორბედი, რომელსაც ლიგის პირველი კაცის წოდება კი წაართვა, მაგრამ, აი, ჩემპიონობას კი ამაოდ ეცილება.

თავად მარად მებრძოლი და ბუნებით წაგებასთან შეურიგებელი აივერსონის სულიერი სიმტკიცე ზედიზედ მესამე თამაშის წაგებამ გვარიანად შეარყია. ახლა მისი მატჩის შემდეგომი კომენტარი უფრო პესიმისტურად ჟღერდა: „ძალიან გრძელი და მძიმე წელი იყო. მე მხოლოდ 76 კილოგრამი ვარ და სუსტი ვჩანვარ, ამიტომ ბევრიც მხვდება. მადლობა ღმერთს, კიდევ შემიძლია თამაში — ამბობს აივერსონი ნამატჩევს — ძალიან ძნელია მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო როდესაც მეტოქე არავითარ პატივს არ გცემს, მისი დამარცხება თითქმის შეუძლებელია“.

ამ თამაშში აივერსონის მონაგარმა 35 ქულა შეადგინა, რაც თითქოს ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, თუმც არც ასეა. ფილადელფიელმა საწყისი 19 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩააგდო, მისი უზუსტობა კი შესაბამისად აისახა მატჩის მსვლელობაზე და მასპინძლები ერთხანს 22 ქულითაც ჩამორჩნენ მეტოქეს. „თუ არ ვცდები, მან 35 ჩააგდო, არა? ჩვენ ბოლომდე ვერ გავაჩერებთ მას, მთავარია, მაქსიმალურად შევზღუდოთ მისი პარპაში, რაც დღეს შევძელით“. ეს ლოსანჯელესელი ტაისონ ლუს სიტყვებია, რომელიც დერიკ ფიშერთან ერთად აივერსონს იჭერდა.

აივერსონს უჯიგროდ თამაშს ვერავინ დასწამებს. იგი ამჯერადაც დიდი მონდომებით ირჯებოდა, ცდილობდა სივრცეების პოვნას და მისი ტრავმებით დატანჯული სხეული შეტევის ერთი ფლანგიდან ელვის სისწრაფით მეორეზე აღმოჩნდებოდა, თუმცა იგი მარტო არ იყო, მის წინ ყოველთვის აღიმართებოდა ლუს ან ფიშერის კარგად ნაცნობი სახეები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ფილადელფიელს არ ეკეთებინა ის, რაც შეუძლია. აივერსონმა ძალიან ბევრი შეტევა გააფუჭა, „ლეიკერსი“ კი ის ჩიტი არაა, ამით არ ისარგებლოს.

ლიდერის უზუსტობას, ფილადელფიელთა ფარქვეშ უსუსური გარჯაც დაერთო. მუტომბო, ჰილი და სხვები ამაოდ ცდილობდნენ, იქ შაკილ ონილი შეევიწროვებინათ. შაკი ბლომად ბურთებსაც ყრიდა და მარტო პირველ მეოთხედში მეტოქის ფარზე ხუთი(!) ბურთი მოხსნა, რამაც სტუმრებს მეორედ შეტევის საშუალება მისცა და ის მოხსნები ცხრა ქულად აქციეს.

„ფილადელფია“ კი თავდაცვაზე ჩაიძირა, მასპინძლებმა საწყისი თორმეტწუთეული 14:22 დათმეს. მათთვის სასიკეთოდ არც მეორე მეოთხედი წარიმართა, სტუმართა სათადარიგო რონ ჰარპერმა ორქულიანს სამიანი მოაყოლა. „ლეიკერსის“ სათადარიგოებმა, ჰორიმ და ლუმ არ ისურვეს, ჰარპერს ჩამორჩენოდნენ და შორი დისტანციიდან მათაც დალაშქრეს მეტოქის კალათი, რის შემდეგაც ანგარიში 46:29 გახდა.

მასპინძელთა კალათის რბევა მესამე მეოთხედშიც წარმატებით გაგრძელდა და არც არავის გაჰკვირვებია, სხვაობამ ერთხანს 22 ქულას რომ უწია. მხოლოდ ამის შემდეგ იპოვეს ფილადელფიელებმა თავისი თამაში, თუმც ამან ბევრი ვერაფერი შეცვალა.

აივერსონმა მხოლოდ ბოლო მეოთხედი ჩაატარა სეზონის უძვირფასესის საკადრისად. ამ თორმეტწუთეულში მან 16 ქულა მიითვალა, მეოთხედის დასაწყისში კი ზედიზედ ექვსი ქულა გააკეთა, „სიქსერზს“ ერთი მონაკვეთი 11:0 მოგებინა, რის შემდეგაც სხვაობა შვიდ ქულამდე დავიდა — 77:70. გამოცოცხლდა ორი ათეული ათასი ფილადელფიელი, თუმც მათ კერპთა „აჯანყება“ სტუმრებმა მძიმე არტილერიის მძლავრი ზალპით ჩაახშეს. შაკილ ონილმა მუტომბოს თავზე გადაატენა, „ლეიკერსის“ სათადარიგოებმა — ლუმ, შოუმ და ჰორიმ არ დაიზარეს, თითო ჭურვი (სამქულიანი) უთავაზეს მოწინაამდეგეს და მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე სხვაობამ 17 ქულას უწია, რასაც ამაოდ უკირკიტა „სიქსერზმა“.

თითქოს კობი და შაკი არ გვყოფნიდნენ და ახლა ესენიც (სათადარიგოები, რომელთაც ჯამში შვიდი სამიანი ჩააგდეს) გამოტყვრნენო, ესლა ჩაილაპარაკა მასპინძელთა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა.

15 ივნისს გასამართ სერიის მეხუთე მატჩსაც ფილადელფია უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირცხვილი**

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 1 |

**ოლიმპიაკოსი 88:84 პანათინაიკოსი**

**ოლიმპიაკოსი:** ბუდურისი (2), ვუჭჩევიჩი (7), პაპანიკოლაუ (19), დორკოფიკისი, რიზაშე, სულისი (1), ტომიჩი (12), დე მიგელი (8), ფემერლინგი (5), რაჯა (16), რივერსი (18)

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (7), კალაიძისი (7), კოხი (5), როჯერსი (15), ფოცისი (3), ჯენტილე (12), ბოდიროგა (11), მიდლტონი (12), რებრაჩა (7), ბერკი, ბალოიანისი (5)



# პოტსდამში ბიჭი გვეზრდება

## ნოლაიძელი გერმანელებს ატირებს

„რევაზ ნოლაიძელი დაჩაგრეს“ — თვალებს არ დავუჯერე, როცა გერმანიაში, ბრანდენბურგის მიწის გაზეთ „მერკიშე ალგემაინეს“ ფურცლებზე ამ სათაურს მოვკარი თვალი. „დამატებითი გამოსვლა მას ოქროს დაკარგვად დაუჯდა“ — ეწერა ქვესათაურში.

კითხვა განვაგრძე:

„პოტსდამის სპორტსკოლის წევრ რევაზ ნოლაიძელს არ გაუმართლა, მისი გამბედაობა ქალაქ რატენოუში გამართული ტურნირის ორგანიზატორებმა არ დააფასეს. ნოლაიძელმა თავის წონაში, 38 კილოგრამში, რა თქმა უნდა, ჩემპიონობა არავის დაუთმო, მერე 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვიდა და მესამე ადგილი დაიკავა. ორგანიზატორებმა მას მესამე ადგილოსნისთვის განკუთვნილი ბრინჯაო გადასცეს, ის ოქრო, რომელიც ნოლაიძელმა 38 კილოში მოიპოვა, ფინალში მასთან დამარცხებულ ფრანც კავინსკის ერგო“ — იტყობინებოდა „მერკიშე ალგემაინე“.

ცხადია, უმალ დავინტერესდი რევაზ ნოლაიძელის ვინაობით და მალე ჩვენი ნაცნობობაც შედგა.

შეიძლება, თამამად ითქვას, ქართულ ძიუდოს ბერლინის მახლობლად მდებარე პატარა, ისტორიულ ქალაქ პოტსდამში ნიჭიერი ბიჭი ეზრდება. რევაზ ნოლაიძელი ჯერ მხოლოდ 10 წლისაა, თუმცა თას-მედლები საკმარისზე მეტი აქვს. ეგ კი არა, რამდენიმე თვის წინ გერმანელებმა აღმოსავლეთ გერმანიის სპორტის ოსტატის წოდებაც უბოძეს. ნორჩი ქართველი, რომელსაც ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოებაც მფარველობს, ამაზე გაჩერებას არ აპირებს.



რევაზ ნოლაიძელი

რევაზ ნოლაიძელის ოჯახი წარმოშობით ქობულეთიდანაა. რევაზი დედმამასთან ერთად მესამე წელია გერმანიაში ცხოვრობს. ძიუდო მას მამამ, ოთარ ნოლაიძელმა შეაყვარა, რომელიც წარსულში ძიუდოისტი გახლდათ. შვილსაც თავად დააწყებინა ვარჯიში, ქართულ ჭიდაობის ილეთებიც ასწავლა და...

„რევაზი სპორტსკოლაში აშკარად გამორჩეულია, მას განსაკუთრებული ტექნიკა აქვს, ისევე, როგორც ყველა ქართველ ძიუდოისტს“ — აღნიშნა საუბრისას რევაზის მწვრთნელმა ანდრეას ჰირშმა, რომელიც ორი წელია შეგირდს იცნობს და მის ავ-კარგიც კარგად მოეხსენება. „ტექნიკის გარდა, სხვა საჭირო თვისებებიც აქვს. ბრძოლისუნარიანია, ასევე გამორჩეულია მისი მიზანსწრაფვა, ვერ ეგუება მარცხს, ქულებით ჩამორჩენის მიუხედავად არ ტყდება, პირიქით, თითქოს ძალა ემატება და ძალიან ხშირად ბრძოლის ბედს თავის სასარგებლოდ ატრიალებს. ამაში ჯანიც ეხმარება, ძალიან ღონიერია. მეტოქეს თუ კისერი დაუჭირა, ჩათვალეთ, ბრძოლა დამთავრებულია. მსგავსი კისრულებით არაერთი მოწინაალმდეგე დაუმარცხებია. აღსანიშნავია მისი საქმისადმი მიდგომაც, ბევრი აქ უბრალოდ გასართობად დადის, რევაზზე იგივეს ვერ ვიტყვი, აშკარად ჩანს, დარბაზში სავარჯიშოდ და საქმისათვის მოდის. უახლოეს მომავალში მაღალ წონით კატეგორიაში და უფროს ასაკში ვუპირებთ გადაყვანას, რათა მეტი სტიმული მიეცეს, ერთი სიტყვით, ასე თუ გააგრძელა, დიდი ძიუდოისტი დადგება“ — ასე ახასიათებს ქართველ ყმაწვილს მისი მწვრთნელი ანდრეას ჰირში.

ბოლო ტურნირი რევაზმა ორიოდე კვირის წინ მოიგო, მასში გერმანიის რამდენიმე მიწის სპორტსკოლების აღსაზრდელები გამოდიოდნენ. თქვენი არ ვიცი და მე პირველად ვნახე ბრძოლამდე ატირებული ძიუდოისტი. რევაზის პირველმა მოწინააღმდეგემ მეტოქის ვინაობა რომ შეიტყო, უმალ ატირდა და ტატამზეც თვალცრემლიანი ავიდა... ბრძოლა ძალიან მალე დასრულდა. „რევაზ, ოთხ წამში მოიგე!“ — ამცნეს ქართველს თანაგუნდელებმა. მხოლოდ ერთხელ „გაუჭირდა“ ჩვენებურს — ფინალის მოსაგებად „მთელი“ 20 წამი დასჭირდა. პირველი ადგილი ავიღე — ისე თქვა გამარჯვებულმა რევაზმა, ამ სიტყვებში „აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდაო“ იგულისხმებოდა.

კიდევ ერთი რამ მომხვდა თვალში. ნორჩი ძიუდოისტები თავიანთი ბრძოლის დასრულების მერე „კოკა კოლას“ და „ფანტას“ ეტანებოდნენ, რევაზ ნოლაიძელი კი დარბაზში მინერალური წყლით დადიოდა, თანაგუნდელებს ქომაგობდა, დამარცხებულებს ანუგეშებდა.

ასე თუ გააგრძელა, მალე საქართველო რევაზ ნოლაიძელით იამაყებს.

**გაგა ოქროპირიძე ბერლინიდან**


**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

**ტელ:**
**397 198. 959 032. 8 77 428283**





**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ:**
**78 28 77**



# მორჩილის ქარქაში

**ვასილ აბაშიძე**

*საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებებისა და „ლოკომოტივის“ გარემარბი ვასილ აბაშიძე „მსოფლიო სერიის“ საშვიდკაცო ტურნირეზე ასპარეზობდა. ლონდონის შეჯიბრზე ინგლისის ნაკრებთან მატჩს ერთ-ერთი ფრანგი აგენტი ესწრებოდა. მისი ვიზიტი შემთხვევითი სრულებითაც არ იყო. ფრანგი „გრენობლის“ უფროსობის დავალებით იყო ჩასული ლონდონში და სწორედ ვასილ აბაშიძეზე დაკვირვება ევალებოდა. მატჩის შემდეგ აგენტი ქართველ მორაგბეს გამოელაპარაკა და „გრენობლში“ გადასვლა შესთავაზა. ჩვენებური უყოყმანოდ დათანხმდა მზვერავის წინადადებას. ასე რომ, „ბორჯღალოსანთა“ 23 წლის მარცხენა ფრთა, რომელსაც ნაკრებში ცამეტი მატჩი ჩაუტარებია და სამი ლელოც გაუტანია, თვის ბოლოს საფრანგეთს ეწვევა და შეეცდება, კლუბის ხელმძღვანელობას თავი მოაწონოს. თუმცა...*


ბაჩო ქორიძის ფოტო

# ქართველებს ლონდონში ზვერავენ

## ვასილ აბაშიძე გრენობლში მიდის

— არის ერთი ხელისშემშლელი პირობა. ლონდონის საშვიდკაცო ტურნირზე კუნთი გავიწყვიტე. ახლა ვმკურნალობ. თუ დათქმულ ვადაში ტრავმის მოშუშება ვერ მოვასწარი, ალბათ, „გრენობლში“ გადასვლა ცოტა ხნით დაგვიანდება.

**— „გრენობლი“ პირდაპირ კონტრაქტს გაგიფორმებს თუ ჯერ დაგაკვირდება?**

— მითხრეს, რომ ჩამოხვალ, ტესტებს ჩაგიტარებთო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კონტრაქტის გაფორმებას წინ არაფერი უდგას. ეგ არის, ტრავმა უნდა მოვირჩინო, თორემ დამტვრეული მორაგბე ვის რაში სჭირდება.

**— ალბათ, კლოდ სორელი გაგიწევდა რეკომენდაციას.**

— დიახ, იგი დამეხმარა. „გრენობლი“ თურმე უკანა ხაზის მოთამაშეს ეძებდა. სორელს ჩემი თავი შეუთავაზებია ფრანგებისთვის. მათაც თავიანთი კაცი გამოგზავნეს ლონდონში, რომელსაც ჩემი თამაში უნდა ენახა. მასაც მოვეწონე და თვის ბოლოს „გრენობლში“ გელითო, მითხრა.

**— წინასწარ თუ ელაპარაკე კონტრაქტის თაობაზე?**

— ველაპარაკე. ის კაცი კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელიც ყოფილა. არ დამზარდა და დაახლოებით გამაცნო ის პირობები, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ რომ მექნება.

**— კმაყოფილი დარჩი?**

— ძალიან. ბინას და მანქანას კლუბი მიქირავებს. ხელფასი კი თვეში დაახლოებით ათი ათასი ფრანკი მექნება.

**— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ზოგიერთი ქართველი ლეგიონერი ძირითადში უთამაშებლობას უჩივის. შენ თვითონ თუ ესაუბრე იმ მწვრთნელს, რას გიპირებენ?**

— არა მგონია, სათადარიგო მოთამაშედ ვუნდოდე „გრენობლს“. ასეთ შემთხვევაში საგანგებოდ ჩემი თამაშის სანახავად არ ჩამოვიდოდნენ ლონდონში. ისე, ჩემზეა დამოკიდებული, ძირითადში ვითამაშებ თუ არა.

**— წლეულს „გრენობლი“ „ელიტ 1“-დან „ელიტ 2“-ში დაქვეითდა. რა გეგმები აქვთ კლუბის უფროსებს სამომავლოდ?**

— ისევ აღზევებას აპირებენ. საამისოდ ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე მორაგბეს დამატება უნდათ. ვნახოთ, რა გამოვა.

**— შენ რა პოზიციაზე გიპირებენ დაყენებას?**

— მარცხენა გარემარბად. სწორედ ამ ამპლუის მოთამაშე სჭირდებათ ყველაზე მეტად.

**— მცველადაც შეგიძლია თამაში, უწინ ნაკრებში ამ პოზიციაზე ირჯებოდი. რომელ ადგილზე გრძნობს თავს ყველაზე კარგად?**

— გარემარბობა ყველაზე ახლოა ჩემს სათამაშო სტილთან. მცველად თამაშისას დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია, მუდამ ყურადღებით უნდა იყო და მეტოქის ყველა ნაბიჯი უნდა გააკონტროლო. ფრთაზე კი ამდენი არ მოგეთხოვება და თავისუფლად გრძნობ თავს.

**— შენს ძლიერ მხარედ რას მიიჩნევ?**

— სისწრაფეს. განსაკუთრებით კონტრშეტევებზე ვთამაშობ ლაღად.

**— სუსტი მხარე?**

— დაცვაში მოვიკოჭლებ. ამას ყველა მეუბნება და არც მე უარვყოფ. ბევრს ვივარჯიშებ და ამ ნაკლსაც გამოვასწორებ.

**— შენი მამა, ვლადიმერ აბაშიძე, პირველი თაობის მორაგბე იყო. ალბათ, მან მიგიყვანა რაგბიზე.**

— მე თვითონაც მინდოდა, რაგბი მეთამაშა, მაგრამ მაშინ ეს სახეობა ჩვენში არ იყო ისეთი პოპულარული, როგორც დღეს. ერთი ხანობა თავიც მივანებე. 9 წლის ვიყავი და გუნდში არავინ იყო ჩემი ასაკის. ყველანი ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ, ამიტომ თამაში არ მიწევდა. მერე ჩოგბურთზეც დავიდოდი. ბოლოს რაგბის ცნობილმა სპეციალისტმა ბათუ კევლიშვილმა მომკიდა ხელი და თავის გუნდში, „ლელოში“ მიმიყვანა. იმის მერე სხვა სპორტისკენ არც გამიხედავს.

**— მამა თუ გაძლევს რჩევა-დარიგებებს?**

— უმაგისოდ როგორ იქნება, მაგრამ ხშირ შემთხვევებში არ ვეთანხმები და ვკამათობთ კიდეც. ვეუბნები, რომ მაშინ სხვა რაგბის თამაშობდნენ, დღეს კი — სულ სხვას. სასარგებლო რჩევას კი ვიღებ.

**— უცხოეთს ჩვეული ხარ. ჰოლანდიაშიც გითამაშია. ერთი პირობა საფრანგეთში იყავი, მაგრამ მცირე ხნით...**

— ჰოლანდიაში ერთი წელი დავყავი. აქ მაშინ „ზორდაში“ ვთამაშობდი. სეზონი რომ დამთავრდა, ჰოლანდიური ვარიანტი გამოჩნდა და მეც ნიდერლანდებში წავედი. ამსტერდამის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ამსტელვენის სარაგბო კლუბში ჩავირიცხე. დიდი ვერაფერი გუნდი იყო, ჯერ ჰოლანდიის ნაკრები რაა და ერთი საშუალო კლუბი რა იქნებოდა. მაგრამ აქ უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავი, იქ კი ნორმალური სავარჯიშო პირობები შემიქმნეს. „ამსტელვენს“ რამდენიმე კეთილმოწყობილი სათამაშო და სათადარიგო მოედანი ჰქონდა. პირობებით ჰოლანდია საფრანგეთს არ ჩამოუვარდება.

საფრანგეთში კი შარშან წავედი, სამოყვარულო კლუბ „ბურგ ენ ბრესში“ ვიყავი სამთვიან სტაჟირებაზე. მორაგბეები სამუშაოს შემდეგ მოდიოდნენ თამაშებზე. შეიძლებოდა არც მოსულიყვნენ, ვის როგორ მოესურვებოდა, ისე იყო საქმე. ერთი ვიფიქრე, აქ რა მინდა-მეთქი, მაგრამ გავიხედე და ეს მეფუნთუშეები თუ სხვა პროფესიის ხალხი ისე თამაშობდნენ, ბდღვნიდნენ ყველაფერს. იქ რომ შუამარბები ვნახე, ბევრ პროფესიულ გუნდში არ მინახავს. ნეტავ, ასეთი სამოყვარულო კლუბები ჩვენშიც იყოს.

**— ნაკრებში ორი მწვრთნელის ხელში გაიარე...**

— ვიცი, რასაც მეკითხები. გურამ მოდებაძე შესანიშნავი პიროვნება და მწვრთნელია. სწორედ მან აღმომაჩინა 19 წლის ყველასთვის უცნობი მორაგბე და ნაკრებში მიკრა თავი. მოდებაძემ დიდი როლი ითამაშა ჩემს მორაგბედ ჩამოყალიბებაში. მას ძალიან ვემადლიერები.

**— სორელი?**

— კლოდი პროფესიონალი მწვრთნელია. ნაკრების წარმატება ყველაფერზე მეტყველებს. მართალია, ცოტა ექსპერიმენტები უყვარს, მაგრამ შედეგს აჩვენებს და რა გინდა. როდესმე გვყოლია ასეთი ნაკრები, როგორც დღეს?

**— ახლახან ამსტერდამის საშვიდკაცო ტურნირზე სამ საუკეთესო მოთამაშეს შორის შეგიყვანეს.**

— ეს ტურნირის დასრულების შემდეგ შვიდკაცა ნაკრების დირექტორმა ზაზა ქასაშვილმა მითხრა. რაიმე პრიზი ან სიგელი არ მოუციათ. ისე, ოფიციალურ ოქმში მომიხსენიეს.

**— დაოჯახებული ხარ?**

— არა და ჯერ არც ვაპირებ. საამისოდ არ მცალია. ოჯახში დედა, მამა, ძმა და მე ვცხოვრობთ.

**— როგორია ვასილ აბაშიძე მოედნის გარეთ?**

— წყნარი, მშვიდი. ყოველ შემთხვევაში, ოჯახის პრობლემებს არ ვუქმნი.

**ბაჩო სვანიძე**

ბაჩო ქორიძის ფოტო

ვასილ აბაშიძე საქართველო — ესპანეთის მატჩისას



# კრივოლოსანი

**ყოფილმა** მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა ჯორჯ ფორმენმა ჰიუსტონში წყალდიდობისგან დაზარალებულთა დასახმარებლად წითელ ჯვარს 250 ათასი დოლარი გადაურიცხა.

„ეს ჩემი ოჯახისგან მათ, ვინც უბედურების ზონაში მოჰყვა“ — განაცხადა ფორმენმა, რომელიც თავადაც ჰიუსტონში ცხოვრობს, ოღონდ კინგვუდის რაიონში — „იმედი მაქვს, რომ ეს შენატანი გაჭირვებულებს დაეხმარება. მესმის, ჩემს მიერ შეტანილი თანხა პრობლემას ვერ აღმოფხვრის, მაგრამ ჩემთვის თავისთავად ის ფაქტი, რომ ხალხს დავეხმარე, ბევრს ნიშნავს“.

„დიდ ჯორჯად“ წოდებულმა ფორმენმა ტელევიზორში ნახა სიუჟეტები წყალდიდობის შესახებ და მეგობრის გადასარჩენად გავარდა, შემდეგ კი, ადგილზე მისული, ყველას ეხმარებოდა.

„გზად სხვა გაჭირვებული ადამიანები დავინახე და, ფაქტობრივად, ავტობუსის მძღოლად ვიქეცი. პირველად ვიგრძენი ასე აშკარად, რომ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვჭირდებით. ამქვეყნად გამორჩეული არავინ არის“.

სასეიროა, რომ ერთმა გადარჩენილმა ფორმენი ვერ იცნო და დახმარებისთვის საფასური შესთავაზა, რაზეც „დიდმა ჯორჯმა“ უპასუხა, თუ ფული გაქვთ, საქველმოქმედო საზოგადოებას გადაურიცხეთო.



ჯორჯ ფორმენი ქველმოქმედობს

* * *

**სამხრეთ აფრიკაში**, კერძოდ კეიპტაუნში, ასეთი ამბებია: მაიკ ბერნარდომ პიტერ მაკნილი 41 წამში დაანოკაუტა და ახლა სრულიად სამხრეთ აფრიკულ ბრძოლას ითხოვს: IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ფრენკ ბოთა მეჩხუბოსო.

„თუ ბოთა დაინტერესდება, ჩვენ შეგვიძლია WBF-ის ტიტული გავითამაშოთ“ — განაცხადა პრომოუტერმა თინუს სტრაიდომმა. ეს სწორედ ის სტრაიდომია, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ბოთა ამერიკაში წაიყვანა და დიდ მოკრივეთა მარაქაში გარევაში დაეხმარა.

„ბერნარდოს სწორედ ახლა სჭირდება ამ ტიპის ბრძოლა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაკნილის ძლევის შემდეგ მაინც დარჩა ხალხი, რომელსაც მის ძალასა და ოსტატობაში ეჭვი შეაქვს“ — დასძინა მან — „მაკნილი სახელოვანი მოკრივეა, რომელიც ბერნარდომ დამაჯერებლად დაამარცხა. ახლა, კი გავიგე, რომ ბოთას დაჯდომია მასთან ბრძოლა ჭკუაში. თუ რინგზე გამოვა, კარგად გადავუხდით. მე კიდევ ის მინდა, რომ დონ კინგმა სამხრეთ აფრიკისკენ გამოიხედოს. აქ ის იპოვნის მოკრივეებს, რომლებიც ეგრეთწოდებულ მსოფლიოს ჩემპიონებს, ჰასიმ რაჰმანსა და ჯონ რუისს გაცილებით სჯობიან“.

* * *

**საინტერესო** რამ განუცხადა ცნობილმა მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა აშშ-ის სასამართლოს. მან ბრძანა, რომ თუ მძიმე წონის მოკრივეთა ტიტულის დრამა ანუ გაურკვევლობა ვინ, ვის, როდის, სად და რატომ უნდა შეხვდეს, კიდევ გაგრძელდება, მსოფლიო დიდ სპორტსმენს, ლენოქს ლუისს დაკარგავს.

სტიუარდი ლუისის მწვრთნელია და ამდენად, კარგად იცის, რას ამბობს. ის სასამართლოში სწორედ ბრიტანელი მოწმის სტატუსით გამოცხადდა და თქვა, რომ ლუისს გაუგებრობის, უმოქმედობის და უინტერესობის შედეგები უკვე ეტყობა.

შეგახსენებთ საქმის არსს: ლენოქს ლუისმა 21 აპრილს, სამხრეთ აფრიკაში, WBC-, IBF-ისა და IBO-ს ტიტულები ნოკაუტით წააგო ანუ დაკარგა უდავო ჩემპიონის წოდება. იგი შედარებით დაბალი კლასის ამერიკელმა მოკრივემ, ჰასიმ რაჰმანმა დაამარცხა. საქმე კი ის გახლავთ, რომ 21 აპრილის ბრძოლაზე შეთანხმებისას, მხარეებმა კონტრაქტში რემატჩის აუცილებლობა ჩაწერეს, მაგრამ ლუისის გვემის შემდეგ რაჰმანთან თანამშრომლობის ხელშეკრულება ცნობილმა პრომოუტერმა, ფრიად გამძრომ-გამომძრომმა დონ კინგმა დადო და საქმე პირის ტეხვისკენ წაიყვანა — ახალი ჩემპიონისთვის სულ სხვა ბრძოლები გამოიგონა. ამან, ბუნებრივია, ლუისი ალაშფოთა და კონფლიქტი სასამართლოს გადაეცა. ყოფილი ტიტულოსანი, 18 აგვისტოს, კუთვნილ რემატჩს ითხოვს.

მაგრამ, სტიუარდს დავუბრუნდეთ, რომელმაც ლუისის ვექილის, ჯად ბარნსტეინის კითხვაზე პასუხისას ასეთი რამ განაცხადა: „იცით, როდესაც 35 წლისა ხართ, რაღაც-რაღაცეები იცვლება. ლუისის ასაკში ადამიანი უფრო ზანტდება და ყოველ წელიწადს მეტად და მეტად შორდება საუკეთესო სპორტულ ფორმას. ლუისი დიდი ტანის კაცია, რომელსაც ბოლოდროინდელმა უმოქმედობამ წონა მოამატებინა. მისი დაკლება უთუოდ პრობლემა გახდება. ამიტომაც მუდმივი აქტიურობა სჭირდება“.

აღსანიშნავია, რომ დაკითხვაზე მაიკ ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელი და რაჰმანის ყოფილი პრომოუტერი, სედრიკ კუშნერიც ბრძანდებოდნენ.

ტაისონიც უჩივის რაჰმანს. იგი ითხოვს, რომ ახალი ჩემპიონი სწორედ მას შეხვდეს, რადგან WBC-ს თანახმად ნომერ პირველი კანდიდატი გახლავთ.

რაჰმანსვე უჩივის კუშნერი. მისი აზრით, მოკრივემ მასთან კონტრაქტის პირობები დაარღვია, როდესაც დონ კინგს შეეკრა.

კუშნერმა განაცხადა, რომ აზრი, თითქოს იგი რაჰმანს დიდ ბრძოლებს ვერ უხერხებდა, ტყუილია. მან თქვა: „ლუისთან რემატჩის წაგების შემთხვევაშიც კი ორ მნიშვნელოვან ბრძოლას ვუწყობდი. უკეთეს შემთხვევაში მოკრივე ჯამში 3,5 მილიონ დოლარს მიიღებდა, ხოლო გამარჯვებათა შემთხვევაში შემოსავალი 121 მილიონი დარჩებოდა“.

შემდგომი სხდომა 18 ივნისსაა დანიშნული.

**ტუტა სიხარულიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

### იტალია. სერია A. 34-ე ტური
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 001 | ბრეშა-ბარი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 002 | ფიორენტინა-ნაპოლი | 2,0 | 3,4 | 1,9 |
| 18.00 | 003 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 004 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 18.00 | 005 | ლეჩე-ლაციო | 2,0 | 3,3 | 2,C |
| 18.00 | 006 | რეჯინა-მილანი | 1,3 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 007 | რომა-პარმა | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 18.00 | 008 | ვერონა-პერუჯა | 1,2 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 009 | უდინეზე-ვიჩენცა | 2,2 | 3,2 | 1,9 |

### იტალია. სერია C. პლეი-ოფი. II მატჩები
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | კომო-ლივორნო | 1,7 | 2,8 | 5,0 |
| 19.30 | 011 | მესინა-კატანია | 1,8 | 2,7 | 4,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 38-ე ტური
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | ნუმანსია-ალავესი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 24.00 | 013 | რასინგი-ბილბაო | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 00.30 | 014 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 01.00 | 015 | ლას პალმასი-რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,9 | 4,0 |

17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 016 | დეპორტივო-მალაგა | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| 24.00 | 017 | ბარსელონა-ვალენსია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 018 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,5 | 2,0 | 7,0 |
| 24.00 | 019 | მალიორკა-ოვიედო | 1,5 | 3,5 | 4,0 |
| 24.00 | 020 | სარაგოსა-სელტა | 1,9 | 1,9 | 2,8 |
| 24.00 | 021 | სოსიედადი-ოსასუნა | 2,0 | 3,5 | 1,9 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 42-ე ტური
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 022 | უელვა-ფეროლი | 1,65 | 2,5 | 5,0 |
| 23.00 | 023 | ლეიდა-ესტრემადურა | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| 23.30 | 024 | სალამანკა-მურსია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.00 | 025 | სევილია-ეიბარი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 026 | სპორტინგი-კორდობა | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 22.00 | 027 | ლეგანესი-ტენერიფე | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| 22.00 | 028 | ალბასეტე-უნივერსიდადი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 029 | ხეტაფე-ატლეტიკო | 7,0 | 4,0 | 1,1 |
| 22.00 | 030 | ლევანტე-ბადახოსი | 1,95 | 2,3 | 4,4 |
| 22.00 | 031 | ხაენი-ბეტისი | 3,5 | 3,0 | 1,5 |
| 22.00 | 032 | ელჩე-კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-5 ტური
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 033 | ტელსტარი-სიტარდი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 034 | ზვოლე-ვოლენდამი | 1,9 | 3,2 | 2,5 |

### ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-6 ტური
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 035 | იგლსი-სპარტა | 3,0 | 1,9 | 1,9 |
| 17.30 | 036 | კამბური-ექსელსიორი | 1,35 | 3,8 | 5,3 |

### საბერძნეთი. პლეი-ოფი. III მატჩები
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 037 | პანახაიკი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 038 | ოფი-იანინა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### რუსეთი. მე-13 ტური
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 039 | კრილია-ზილ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 17.00 | 040 | ალანია-როტორი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 17.00 | 041 | ანჟი-სპარტაკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 17.00 | 042 | ლოკომოტივი-ჩერნომორეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 17.00 | 043 | ტორპედო-როსტსელმაში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.30 | 044 | ფაკელი-ცსკა | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 045 | დინამო-სატურნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 046 | ზენიტი-სოკოლი | 1,85 | 2,9 | 3,8 |

### შვედეთი. მე-10 ტური
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 047 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.00 | 048 | იორგრიტე-სუნდსვალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |

18 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 049 | ჰეკენი-იურგორდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 050 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 051 | იორებრო-ტრელებორგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ნორვეგია. მე-11 ტური
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 052 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 053 | ბოდიო-სტრიომგოდსეტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 21.00 | 054 | ბრინი-სოგნდალი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 21.00 | 055 | მოსი-ლინი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 21.00 | 056 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 057 | ვიკინგი-ბრანი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 24.00 | 058 | მოლდე-სტაბეკი | 1,9 | 3,3 | 3,4 |

### ფინეთი. მე-13 ტური
17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 059 | იოკერიტი-კუოპიო | 1,9 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 060 | ლაჰტი-ვაასა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 061 | ჰაკა-ატლანტისი | 1,9 | 3,2 | 3,4 |

### ინტერტოტო. I ეტაპი. I მატჩები
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ვიტ ჯორჯია-რიდი | ანგარიში | – | 5,0 |
| 19.00 | 502 | ორჰუსი-ცელიე | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 19.00 | 503 | დანდი-სარტიდი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 504 | ანორთოსისი-სლავენი | 2,1 | 3,0 | 3,0 |
| 20.00 | 505 | უნივერსიტატია-ბილისი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 506 | ტატაბანია-შირაქი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 20.00 | 507 | კარმართენი-აიკ | 6,0 | 4,0 | 1,35 |
| 21.00 | 508 | სენტ ჯულია-ლოზანა | 10,0 | 5,6 | 1,05 |
| 21.00 | 509 | ბ68 ტოფტირი-ლოკერენი | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 21.00 | 510 | დინამო (მინსკი)-ჰობშაიდი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 22.30 | 511 | კორკი-ლიეპაია | 1,9 | 3,2 | 3,3 |

17 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 512 | ეკრანასი-პეტრჟალკა | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 20.00 | 513 | გროცლინი-სპარტაკი (ვარნა) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 514 | ზაგლებე-ჰიბერნიანსი(მალტა) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.30 | 515 | ჩელიკი-დენიზლი | 2,7 | 3,2 | 2,2 |
| 20.30 | 516 | ზაგრები-პობედა | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 517 | გრინდავიკი-ვილიაში | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 518 | ტილიგული-კლიფტონვილი | 1,3 | 4,2 | 6,5 |
| 21.00 | 519 | ჯაზი-გლორია | 2,2 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 520 | ჰაპოელი (ჰაიფა)-ტალინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
16 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 521 | მექსიკა-კოსტა რიკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 522 | იამაიკა-აშშ | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 01.00 | 523 | ტრინიდადი-ჰონდურასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### კალათბურთი. ფინალი
15 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 801 | ფილადელფია-ლეიკერსი | 1,75 | 12,0 | 1,65 |

18 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 802 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ქავჭავაძის გამზირი № 41 | |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| **თელავი** | კოსტავას ქუჩა №23 | |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 | |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| **ქობულეთი** | აღმაშენებლის ქუჩა №106 | |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| **ოზურგეთი** | გურიის ქუჩა №23 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

**!**

# გათამაშების წესები

**თამაშში** მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

მარე ნოსტრუმის სერია

# ერთი მოცურავის თეატრი



იან ტორპი

**მოცურავეებმა** ბარსელონაში დაწყებული მონტე კარლოში დაასრულეს. მარე ნოსტრუმის ბოლო დასკვნით, მეოთხე სერიას ლუი II სტადიონის საცურაო კომპლექსმა უმასპინძლა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოთხსერიან პაექრობებში არც ერთი მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა. არადა, თუ გავიხსენებთ განვლილ ასპარეზობებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ერთი წლის განმავლობაში გამართულ შეჯიბრებებს, ვნახავთ, რომ ასეთი სარეკორდო შედეგი ტაბლოზე მუდამ ანათებდა. ახლანდელი ურეკორდო გაცურვები მით უფრო საკვირველია, რომ მარე ნოსტრუმის წყალი ვარსკვლავების ნაკლებობას არ განიცდიდა. მეტიც, აქ გამომსვლელთა ვინაობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ტურნირს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მცირე მსოფლიოს ჩემპიონატი. თანაც მასში ამა თუ იმ დისციპლინის ხუთივე კონტინენტის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ასპარეზობის პირველი დღის ფინალებისას სასტარტო ბაქანზე ჯერ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეებს უხმეს, მაგრამ ვერ ვიტყვით, ფინალი დაძაბულობით გამოირჩეოდაო. ავსტრალიელი იან ტორპის გაღამკიდე კაცი იფიქრებდა, ერთი მსახიობის თეატრისა არ იყოს, ეს ერთი მოცურავის ასპარეზობააო.

ასე იყო თუ ისე, სტარტიდან 100 მეტრის გაცურვის შემდეგ „ტორპედო“ მთელი ორი კორპუსით დაწინაურდა. ამის შემხედვარე მაყურებელმა ყიჟინა დასცხო, მგონი, მსოფლიოს რეკორდის მოწმენი ვხდებითო. გულშემატკივრები მთლად გაღაირივნენ, როცა 300 მეტრის გაცურვის შემდეგ ტორპის უპირატესობა უფრო თვალშისაცემი გახდა — ავსტრალიელი უახლოეს მდევრებს თითქმის 20 მეტრით უსწრებდა, მაგრამ ყველანი გაწბილდნენ, რადგან ასეთი დაწინაურება მისივე მსოფლიოს რეკორდის (3.40,59) გასაუმჯობესებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა შვედი ანდერს ჰოლმერცის მიერ 1994 წელს ნაჩვენები ამ ასპარეზობის საუკეთესო შედეგი (3.51,22) მაინც ბევრად გააუმჯობესა — 3.41,71. მიუხედავად ამისა, მისი ეს წარმატება მსოფლიოს მესამე უსწრაფეს შედეგად ითვლება. გამარჯვებულის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია. ყველაფრის მომგებმა ოზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამ დისციპლინაში იგი უცილობელი ლიდერია. სიდნეის ოლიმპიადაზეც ხომ დიდი ინტერვალით მოიტოვა მეტოქეები. ახლაც, როდესაც ტორპი კმაყოფილი შეჰყურებდა ტაბლოს, მისი მეტოქეები ჩეხი სვიტოსლავ სვობოდა და ახალზელანდიელი ჯონათან დანკანი ჯერ კიდევ ოფლს ღვრიდნენ. ისინი მხოლოდ 16-17 წამის ინტერვალის დაგვიანებით შეეხნენ აუზის კიდეს — შესაბამისად 3.57,28 და 3.58,61.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ავსტრალიელთა კერპმა თავის არასაფირმო 100 მეტრზეც იასპარეზა. თუმცა აქ უკვე თავად გახდა ამ დისციპლინის ვეშაპების მსხვერპლი. იგი საპრიზოსაც არ გააკარეს. მიუხედავად ამისა, პაექრობა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. პირველ ადგილზე გასულ შვედ ლარს ფროლანდერსა და მეექვსე ადგილზე გამწესებულ ტორპს (50,42) შორის სხვაობა ერთი წამი იყო. საინტერესოა ისიც, რომ სკანდინაველს (49,51) მარე ნოსტრუმის სამივე სერიის მომგები ალექსანდრ პოპოვი სულ რაღაც ორი მეასედი წამით ჩამორჩა (49,53). მოგვიანებით კი „ცარმა“ თავისი მარცხი გადაღლილობით ახსნა. მათთან ჭიდილში უკმაყოფილო არც მესამე ადგილოსანი უნდა იყოს. ასეთი პატივი ალჟირელ სალიმ ილეს ხვდა წილად (50,05).

პოპოვის დარად, მარცხი იწვნია ამერიკელმა „მეზურგე“, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლენი კრეიზელბურგმაც. 100 მეტრზე გულაღმა ასპარეზობაში ყოფილი ოდესელი ხორვატმა გორდან კოჟულიმ დაამარცხა — 55,51, ამერიკელი კი მეორეს დასჯერდა — 55,71. მესამე იყო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი, იაპონელი ტოშიფუმი ტაკეუჩი — 56,94.

აღსანიშნავია უკრაინელ იანა კლოჩკოვას წარმატებაც. უკრაინელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა არც ერთ სერიაში ახლოს არავინ გაიკარა. მან, ისევე როგორც ბარსელონაში, კანში და რომში ჩემპიონობა მონტე კარლოშიც იზეიმა. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კლოჩკოვამ 4-5 წამის ინტერვალით გაუსწრო მეტოქეებს — 4.42,33. ამრიგად, აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც იგივე განმეორდება. მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ ჩინელი ლიანგ შუანგი და ესპანელი ფედერიკა ბისკია, შესაბამისად — 4.46,91 და 4.47,35.

ისევ იყოჩაღა კოსტარიკელ მოცურავეთა პირველმა ლედიმ კლაუდია პოლმა. წინასწარ გაცურვისას, მარჯვენა თეძოს ტრავმის მიუხედავად, 200 მეტრზე თავისუფალი სტილის საწყის 100 მეტრზე იგი ერთი კორპუსით დაწინაურდა, ხოლო უკანასკნელ მეტრებს მთელი თავისი ძალა შეალია, რათა კიდევ ერთი ტიტული ეზეიმა. ამრიგად, გამარჯვებული ისევ კლაუდია პოლია — 2.00,05. აუზის კიდესთან მეორე მიიჭრა დანიელი მეტ იაკობსენი — 2.01,39, ხოლო ახალზელანდიელი კარენ ტაიტი მესამე ადგილს დასჯერდა — 2.03,26.

მარე ნოსტრუმის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ამა თუ იმ სპორტსმენის ფიზიკური კონდიციები მსოფლიო ჩემპიონატისთვის ზღვარს მიაღწევს. ეს კი მოცურავეთა სწორ სავარჯიშო ტაქტიკაზე მიუთითებს. ამის დასტურად არაერთი სპორტსმენის მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ, თუნდაც იან ტორპის. იგი 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობებისას არაერთხელ შეეთამაშა მსოფლიოს რეკორდებს. ახლაც, ასპარეზობის მეორე დღეს, 200 მეტრზე ავსტრალიელი ახლოს იყო ასეთ შედეგთან. ტორპედოს ერთ წამზე ცოტა მეტი დააკლდა, რათა თავისივე მსოფლიოს რეკორდი გაეუმჯობესებინა. ერთი კვირის წინ კანში ასპარეზობისას კი სულ რაღაც 0,28 წამით ჩამორჩა საუკეთესო შედეგს.

„ხალხი ყოველთვის ბევრს ითხოვს ჩემგან, მაგრამ მე დღევანდელი შედეგითაც კმაყოფილი ვარ. მართლაც, კანში სწრაფად გავცურე, მაგრამ ასეთი რამის გაკეთება ყოველთვის იოლი არაა.

მე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ვემზადები. ამ მხრივ ბევრი საშინაო დავალება მაქვს გასაკეთებელი. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ გამოცდილებას ვიძენ“ — განაცხადა 18 წლის „ბიჭმა საოცრებამ“.

ასე რომ, გულშემატკივრები ისევ გაწბილებულები დარჩნენ. თუმც არა სანახაობით. ტორპმა მეტოქეებს შეურდულივით ჩაუქროლა და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — 1.45,75. მეორეზე მისივე თანამემამულე უილიამ კირბი გავიდა — 1.49,10, ხოლო მესამეზე ჩეხი სვეტოსლავ სვობოდა აღმოჩნდა — 1.50,19.

ისევე გაიმარჯვა შვედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლარს ფროლანდერმა. 100 მეტრზე ბატერფლაით სკანდინაველმა უკან მოიტოვა გერმანელი თომას რუპარტი (50,90) და უკრაინელი დენის სილანტიევი (53,40). თავად კი ჩემპიონობისთვის 52,84 წამი დასჭირდა.

კომპლექსური ასპარეზობების დიდოსტატმა კლოჩკოვამ ამჯერად 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა — 2.11,00. მისი მეტოქეები სამხრეთაფრიკელი მენდი ლუცი (2.13,29) და იტალიელი პაოლა კავალინო (2.13,86) შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. აი, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კი მარე ნოსტრუმის სერიებში პირველად დამარცხდა უკრაინელი (2.16,79). პაექრობაში, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ჩემპიონობა ჩინელმა ლიანგ შუანგმა მოიპოვა (2.15,42). ბრინჯაო კანადელ მარიან ლიმპერტს ხვდა წილად (2.16,93).

400 მეტრზე „თავისუფლებს“ შორის მას შემდეგ, რაც ტრავმის გამოზეზების გამო სტარტი ვერ აიღო კლაუდია პოლმა, ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ჩეხმა იანა პეჩანოვამ. მანაც ბოლომდე შეინარჩუნა ის უპირატესობა და 4.16,01 წუთში გამარჯვებაც იზეიმა. მისი თანამემამულე კრისტინა კუნეროვა ბრინჯაოს პრიზიორი გახდა (4.19,40), ხოლო ახალზელანდიელი კარენ ტაიტის შედეგი — 4.18,40 მეორეობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

**გიგა გურასაყვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი

# დიდოსტატი და ახალგაზრდა

**ახალგაზრდაც** დიდოსტატია. თინეიჯერი რუსლან პონომარიოვი რეიტინგებით განთესილთა სიაში მე-6 ადგილზეა და ელო-ს კოეფიციენტთა სისტემით 2673 ქულას ითვლის. ზედიზედ ორი მოგებით პონომარიოვმა მაკედონიურ ოჰრიდში მიმდინარე ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე თავი ერთობ წარმოაჩინა, ბოლო ტურის წინ იგი ებრაელ დიდოსტატთან ერთად ლიდერობს და ფინიშზე მასვე ეთამაშება — ემილ სუტოვსკის ისრაელიდან, 2604 ქულისა და განთესვით 35-ე ადგილის პატრონს.

მე-12 ტურში ყაიმზე ითამაშეს იუდით პოლგარმა და ერთხანს ეულმა ლიდერმა ლუკ ვან ველიმ, პონომარიოვმა კი შვეიცარიიდან ჩამოსულ ვადიმ მილოვს უშფოთველად, 28 სვლაში მოუგო. ყველაფერი ერთი შეტაკებით გადაწყდა სიცილიური დაცვიდან გამოსვლისას, როცა პონომარიოვმა ხარისხი მოიგო. იქით კი სუტოვსკისა და რუსი კონსტანტინ საკაევის პარტიაში ვნებები ბევრად მეტხანს ბობოქრობდა, 63 სვლა გაკეთდა. ფრანგულ დაცვაში ორივე მხარის ფიგურები ხელსაყრელად დალაგდნენ და ის იყო, დიდი ბათქი უნდა დაწყებულიყო, რომ ებრაელმა ლაზიერი გაცვალა. შექმნილ ვითარებას ენდშპილი მაინც ძნელად დაერქმეოდა, რადგან დაფაზე სხვა ფიგურები თითქმის უკლებლად იყვნენ და მეფის ფრთაზე პაიკთა შეტაკებაც პოზიციური თამაშის კანონებით ჩატარდა, რაც მიტელშპილს ახასიათებს. სუტოვსკის სამივე მსუბუქი ფიგურა იქ მოგროვდა და თეთრი მეფეც წინ გაიჭრა, მაგრამ მეფის ფრთაზე შავები კარგად იდგნენ და ებრაელმა ხერხიანად გადმოიტანა ბრძოლის სიმძიმე ცენტრში, სადაც ერთი ჭკვიანური კომბინაციის შედეგად მოგებული ეტლების ენდშპილი მიიღო ზედმეტი პაიკით. რუსეთის ყოფილი ჩემპიონი საკაევი არ ნებდებოდა, მაგრამ როცა თეთრებმა ბოლო რეზერვი, ლაზიერის ფრთის კარგად დასვენებული პაიკები დაძრეს, შავებს კონტრარგუმენტი არ აღმოაჩნდათ. 1:0 ებრაელის სასარგებლოდ და სხვა 1:0 კიდევ ქართველის სასარგებლოდ ასევე რუსთან ბრძოლის შემდეგ — ზურაბ აზმაიფარაშვილმა კონსტანტინ ასეევს მოუგო. ასეევი ის კაცია, ვისზეც ადრე ვთქვით, 40 წლისაა და 9 წლის სადიდოსტატო სტაჟი აქვსო. 4 ტურის შემდეგ იგი ქულათა მაქსიმუმით ერთპიროვნულად ლიდერობდა, მერე — სხვებთან ერთად, ბოლოსკენ კი მოუკლო და აგერ, უკვე 46 საუკეთესოშიც (ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წავლენ) ან მოხვდება, ან არა. მაგრამ აზმაიფარაშვილთან მისი პარტია კარგი სანახავი იყო და ამაში წილი წაგებულმაც დაიდო.

ინგლისურ დასაწყისში მხარეებმა მეტად მწვავე ვარიანტი აირჩიეს და ნახეთ, რა დენთის სუნი ტრიალებს დაფაზე თეთრების მე-19 სვლის შემდეგ (თეთრები ქართველს ჰყავდა).

პაიკთა ფალანგების შეტაკებისას მაინც მოსალოდნელზე ნაკლები სისხლი დაიღვარა, ცენტრი ჩაიკეტა და ასეევმა ლაზიერის ფრთაზე წყვილი პაიკებით შეტევა სცადა, რაზეც აზმაიფარაშვილმა უმალ უპასუხა შეწირვიანი გარღვევით საპირისპირო მხარეს და 45-ე სვლისთვის შავი მეფის საშველი აღარ იყო. ამ ქულამ აზმაიფარაშვილი თავში მაინც ვერ აიყვანა და ბოლო ტურში რომც გაიმარჯვოს, საჩემპიონო პლეი ოფშიც ვერაფრით მოხვდება, თუ იგი საერთოდ გახდა საჭირო.

გიორგი ყაჭეიშვილმა თეთრებით გერმანელ ალექსანდერ გრაფს ნახევარი ქულაც ვერ წაართვა. გერმანელმა ქართველს ენდშპილში მოუგო.

სხვა ქართველებიდან ზურაბ სტურუამ ძლიერ ნაგვიანევად მოიგო და ბაადურ ჯობავასთვისაც მე-12 ტური, ფაქტობრივად, ბოლო შანსი იყო საუკეთესო ორმოცდაექვსეულისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად, ნახევარი ქულა კი ქართველ თინეიჯერს ამ საქმეში ბევრს ვერას შეეწევა. ბოლო ტურში სტურუამ და ჯობავამ აუცილებლად უნდა მოიგონ და მაშინ შანსები კიდევ არის. იგივე ითქმის მიხეილ მჭედლიშვილზეც, ხოლო ზვიად იზორიას 5,5 ქულა აქვს და ველარაფერს მოახერხებს, მხოლოდ ის შეუძლია, რომ ჩემპიონატი მაჟორულ ნოტაზე ჩაამთავროს. ყაჭეიშვილი კი წაგების მიუხედავად 7 ქულით ცხრილში ფრიად პერსპექტიულ ადგილზეა. მას ვინძლო ყაიმიც ეყოს.

**დავით გულუა**



| ვითარება 12 ტურის შემდეგ |
| --- |
| 1-2. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ემილ სუტოვსკი (ისრაელი) 9; 3-4. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 8,5; 5-11. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო), ალექსანდერ გრაფი (გერმანია), რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), აშოტ ანასტასიანი (სომხეთი), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 8. |

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

# დოქტორ ეივეს საუკუნე



მაქს ეივე

**მაქს ეივე** პროფესიით მოჭადრაკე არ ყოფილა, ან კი სად იყვნენ 60-80 წლის წინ პროფესიონალი მოჭადრაკენი. მსოფლიოს ჩემპიონებიდან ლასკერი ფილოსოფოსი იყო და ხანდახან პიესებს წერდა, კაპაბლანკა დიპლომატობით ჭამდა პურს, ალიოხინი იურისტი გახლდათ და ბოტვინიკს ჭადრაკზე არანაკლები დრო ელექტროტექნიკაში თავის სადოქტორო დისერტაციისთვის დაუხარჯავს. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ბობი ფიშერამდე ჭადრაკს ფული არ მოჰქონდა, ხოლო კუჭი და მადა კი ჩემპიონებსაც ნორმალური ადამიანების მსგავსი ჰქონდათ. ჭადრაკი იმ დროს ჰობივით იყო, ხოლო თუ ცხოვრება ვერ ეწყობა, ჰობის უნდა შეეშვა, ამიტომ 1921 წელს ეივე სერიოზულად დაფიქრდა, ღირდა თუ არა ჭადრაკის თამაში. ეს მოხდა ჰააგის ტურნირზე დიდი ჩავარდნის შემდეგ. არადა, იმ დროს 20 წლის ჰოლანდიელს უკვე გაეთქვა სახელი.

პირველი ტურნირი ეივეს მონაწილეობით ჰასტინგსში 1919 წელს შედგა და იქ ჰოლანდიელმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, მისმა ერთმა პარტიამ მსოფლიოს პრესა შემოიარა. შემდეგ იყო წარმატებული ტურნირების სერია და ნახსენები ჩავარდნა, რომელმაც ეივე ჭადრაკიდან მათემატიკისკენ შემოაბრუნა, თუმცა, როგორც გაირკვა, არცთუ ბოლომდე.

1921-ში ეივემ მათემატიკის საკანდიდატო გამოცდა ჩააბარა, ორი წლის შემდეგ დოქტორი გახდა და მერე ისევ გაიხედა ჭადრაკისკენ. არა ტყუილად: 34 წლის ეივემ მსოფლიოს პირველობის ფინალი ითამაშა ალექსანდრ ალიოხინთან, ვისაც თვით ჩემპიონები „თანასწორთა შორის პირველს“ უწოდებდნენ. ფინალის მოწყობა იოლი არ ყოფილა. მაშინ ჭადრაკზე ფულს უხალისოდ ხარჯავდნენ და ეივემ ბარე ორი წყვილი ფეხსაცმელი გაცვითა 10 ათასი გულდენის შესაგროვებლად. ეს ალიოხინის გასამრჯელო იყო, ხოლო ეივეს კაპიკი არ შეხვედრია, იმასაც კი ამბობდნენ, ჩემპიონი რომ გახდა, შინ წასასვლელად ტაქსის ფული არ ჰქონდაო. მაგრამ მიზანი ღირდა ამად და სამთვიანი შრომით ეივემ გატეხა ალიოხინი. იგი ჰოლანდიის ეროვნულ გმირად იქცა. როგორც კი საამო ამბავი გახმაურდა, დაიწყრა ამსტერდამი ავტოების სიგნალების ჭყივილითა და ხმაურიანი მუსიკით. ჩემპიონს ბარე ათჯერ მოუწია თავის აივანზე სახალხოდ გამოსვლამ, ხოლო ჰოლანდიის საჭადრაკო კავშირის წევრთა რიცხვი მეყსეულად გაოთხმაგდა (3-დან 12 ათასამდე).

ეივე უკვე ევერესტზე იდგა და იქ დიდხანს გაჩერება არ უცდია, უკვე მომდევნო წელს იგი ექსჩემპიონი იყო — ალიოხინმა მატჩ-რევანში მოუგო.

შემდეგ ეივე კიდევ თამაშობდა, მაგრამ ჭადრაკისთვის თავი არასოდეს მოუკლავს. ტალის არ იყოს, მისთვის მთავარი მწვერვალზე ასვლა იყო და არა იქ დაბინავება, თამაშობდა საკუთარი სიამოვნებისთვის და ლოგიკურია, ალიოხინის სიკვდილის შემდეგ გამართულ საჩემპიონო მატჩ-ტურნირში მას ბოტვინიკმა რომ აჯობა. სამაგიეროდ, ეივემ დებიუტების თეორიას თავისი კვალი დაატყო, იგი განსაკუთრებული ყურადღებით დებიუტიდან მიტელშპილში გადასვლის პროცესს სწავლობდა და ამ მიმართულებით გვარიანი შედეგები მიიღო, თუმცა ბევრად მეტია ჰოლანდიელი ჩემპიონის დამსახურება საზოგადოებრივ საქმიანობაში — 1970-78 წლებში ეივე ფიდეს პრეზიდენტი იყო. მას ერგო ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე რთული ხანის ხელმძღვანელობა, როცა სკანდალი სკანდალს მოსდევდა და ალბათ, მხოლოდ ეივესთანა პრინციპული პიროვნება თუ გაუძლებდა ამ ყველაფერს. აი, იმ დროის ყველაზე ხმაურიანი მოვლენები: სპასკი-ფიშერის, სპასკი-კორჩნოის, ორიც კარპოვ-კორჩნოის [illegible] რთული მატჩები, არშემდგარი ფიშერ-კარპოვი და დაკა-დაკა საჭადრაკო ოლიმპიადის ისრაელში გამართვასთან დაკავშირებით. მთელი ამ ამბებიდან ეივე შეურყვნელი რეპუტაციით გამოვიდა, მაგრამ მესამე ვადით ფიდეს პრეზიდენტობაზე კენჭისყრა არ ისურვა: უკვე 77 წლის იყო და დაიღალა.

მაქს ეივე 1981 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ჰოლანდია დღესაც აფასებს თავის პირველ და ჯერჯერობით ბოლო მსოფლიოს ჩემპიონს. ამსტერდამში არის ეივეს მოედანი და ზედ მისივე სახელობის ცენტრი მუზეუმით, ბიბლიოთეკითა და დარბაზით, სადაც მუდამ ტურნირები მიმდინარეობს — ეივეს შემდეგ ჰოლანდიაში ჭადრაკი შეუყვარდათ და ტიტების ქვეყანა ჭადრაკის ქვეყნადაც იქცა, თუმც ჰოლანდიელებს უმაღლესი შედეგები მერე აღარც ჰქონიათ. უკვე ორჯერ გამოვიდა საფოსტო მარკა ეივეს გამოსახულებით, მაგრამ მთავარი ისაა, რისთვისაც ეს ყველაფერი გავიხსენეთ:

მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონს 100 წელი შეუსრულდა.

**დავით გულუა**



# ბალახი, ტკბილი ბალახი

ლონდონი (ინგლისი)
„სტელა არტუას ჩემპიონატი“
ბალახი. საპრიზო 800 ათასი $

შარშანდელი უიმბლდონიდან მოყოლებული, პიტ სამპრასს ერთი ტურნირიც აღარ მოუგია, როლან გაროსზე მეორე წრეში ჩაიჭრა ესპანელმა გალო ბლანკომ დაიბრიყვა და წლევანდელი შედეგებით საუკეთესოთა ოცეულშიც კი არ შედის. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ 29 წლის ამერიკელის ჩამოწერას მაინც ნურავინ იჩქარებს — საკმარისია, „პისტოლ პიტმა“ საყვარელ ბალახის საფარზე ფეხი დაადგას, რომ მეტოქეებს შიშის კანკალი უტყდებათ და სამპრასიც ისევ უძლეველ ჩემპიონად იქცევა.

„ყველამ ვიცით, რომ ეს სამუდამოდ არ გაგრძელდება, მაგრამ მე საკუთარი ძალების ძველებურად მწამს და მხოლოდ წარმოუდგენლად კარგად მოთამაშე მეტოქე თუ დამამარცხებს — მიაჩნია შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონს, რომელიც წლეულს „ოლ ინგლენდ კლაბში“ ზედიზედ მეხუთედ გამარჯვებას გეგმავს — ჩემს მეტოქეებს პატივს, რა თქმა უნდა, ვცემ, მაგრამ საკუთარ თავს ვეუბნები, შენ მათზე უკეთესი ხარ-მეთქი“.

თიხნარზე და ბალახზე მოასპარეზე სამპრასი რომ ორი სხვადასხვა ჩოგბურთელია, ამაში ლონდონის „ქუინსის“ ტურნირის მეორე წრეში ATP-ის ყველაზე ტანდაბალი მოთამაშე ოლივიე როშიუც დარწმუნდა. „პისტოლ პიტმა“ უმწეო მეტოქე 15 ეისითა და ტყვიასავით ფორჰენდებით დააყუმბარა და მომდევნო ეტაპზე გასვლას წლევანდელი სეზონისთვის სარეკორდოდ მცირე დრო — სულ 44 წუთი დაახარჯა 6:1, 6:2.

„დღეს ერთი იმ დღეთაგანი იყო, როდესაც კორტზე ყველაფერი გამოგდის. სამწუხაროდ, ასე ძალიან იშვიათად ხდება — ოდნავ გული გაუკეთა მომავალ მეტოქეებს ამერიკელმა — როლან გაროსზე წაგების შემდეგ, უნდა ვაღიარო, თავს საძაგლად ვგრძნობდი. იმდენი ვემზადე, ვივარჯიშე, ენერგია დავხარჯე და წარმატებას ვინ ამბობს, ხეირიანადაც კი ვერ ვითამაშე. მეორე მხრივ, გამიხარდა კიდეც, რომ ასე დამწყდა გული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩოგბურთი ჯერაც ძალიან მიყვარს“.

სამპრასზე ერთი გეიმით მეტი დასჭირდა მოსაგებად მასპინძელთა ჯილა ტიმ ჰენმანს (4). ვეტერან იტალიელ კრისტიან კარატისთან შეხვედრაში ინგლისელმა საბრძოლო პირობებში პირველად გამოსცადა „შლეზინგერის“ ახალი ჩოგანი და შედეგით უკმაყოფილო არ დარჩენილა — 6:3, 6:1. მეტოქეზე მეტად ჰენმანი ტურნირის მთავარი სპონსორის — ბელგიური ლუდის „სტელა არტუას“ გადამეტებული ოდენობით დამტკბარმა რამდენიმე ქომაგმა შეაწუხა, რომლებმაც მატჩის დროს „სუფრული“ შემოსძახეს.

„ხმაურს დიდად არ შეუშლია ხელი, ან კი როგორ დავიწუწუნო, როდესაც სულ ოთხი გეიმი წავაგე- მხოლოდ ვიმედოვნებ, რომ ისინი შინ საკუთარი მანქანებით არ ბრუნდებიან“.



ალექს კორეჩა საძულველ ტერიტორიაზე



REUTERS ლონდონიდან

ტიმ ჰენმანმა თანამემამულეების თვალწინ თავი არ შეირცხვინა

**მეორე წრე: მარატ საფინი (1, რუსეთი) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 4:6, 7:6 (7:5), 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4, 6:3; ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — ტომას ენქვისტი (5, შვედეთი) 6:2, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (6, აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:3, 7:5; უეინ ფერეირა (7, სამხრეთ აფრიკა) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 6:4; ვლადიმირ ვოლჩკოვი (8, ბელარუსი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:1, 6:3**

ჰალე (გერმანია)
„ჯერი ვებერის ღია პირველობა“
ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $

თუ ჰალეს ტურნირის პირველი წრის შეხვედრით ვიმსჯელებთ, იოლად გასაგები გახდება, თუ რატომ არის ალექს კორეჩა ანტიუიმბლდონური მოძრაობის მებაირაღე. ესპანელმა (5), რომელიც საკლასიფიკაციო ადგილის შესაბამისი განთესვის მიუღებლობის შემთხვევაში სეზონის მესამე „მეიჯორზე“ ბოიკოტის მოწყობით იმუქრება, თავის საძულველ საფარზე ფრანგი ჟერომ გოლმარის წინააღმდეგ სულ ორი გეიმის მითვლა მოახერხა 0:6, 2:6.

„ბალახზე ბოლო სამი წლის მანძილზე პირველად ვითამაშე. რა თქმა უნდა, ასე წაგება ძალიან საწყენია, მაგრამ თავს ამით გავიმართლებ — აღნიშნა როლან გაროსის ფინალისტმა — პარიზში საოცრად დავიღალე და ახლა რამდენიმე დღე დასვენება მესაჭიროება ძალების მოსაკრებად“.

კორეჩასგან განსხვავებით, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან პატრიკ რაფტერს ერთი სული აქვს, სანამ „ოლ ინგლენდ კლაბში“ შეაჯიბრებს. ავსტრალიელს შარშან ფინალში სულ მცირე უკლდა პიტ სამპრასის დამარცხებამდე და წლეულს შეცდომის გამოსწორებას აპირებს: „იმ შეხვედრაში ნერვებმა დამალალატა, მოგების შემეშინდა და ამის აღიარება არ მრცხვენია. იმედი მაქვს, თუ ასეთი შანსი წლეულსაც მომეცემა, აუცილებლად გამოვიყენებ. უიმბლდონი ის ტურნირია, რომლის მოგებაზეც პატარაობიდან ვოცნებობდი. როდესაც რაიმესკენ ასე ძლიერად ილტვი, ნერვიულობა და დაძაბულობა ბუნებრივი შედეგია“.

წყვილებში თამაშის ოსტატის, ჩეხი დანიელ ვაცეკის წინააღმდეგ რაფტერი ჩვეულად თვალსასეიროდ და ოსტატურად ირჯებოდა ბადესთან. აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი მხოლოდ იმით დარჩა უკმაყოფილო, რომ მეორე ხელის ბოლოს საკუთარი მოწოდება დაკარგა და საქმე კინაღამ ერთიორად გაირთულა.

„არ შეიძლება, მატჩის დროს ზედმეტად მოეშვა, ეს ზოგჯერ წაგებადაც დაგიჯდება. ფიზიკურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ, თუ მხარმა და მაჯამ არ დამალალატა, ცოტას მოწოდებაზეც წავიმუშავებ და სულ ეგ არის“ — განაცხადა 6:3, 6:4 მოგების შემდეგ რაფტერმა.

**პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — ტომას კეტოლა (ფინეთი) 6:3, 4:6, 6:2; როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:4, 6:2; სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 5:7, 6:3, 6:4; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — არნო კლემანი (4, საფრანგეთი) 6:3, 6:4; ტომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:2, 7:5; ტომი ჰაასი (8, გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 6:4; დევიდ პრინოზილი (გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:4)**

ბირმინგემი (ინგლისი)
DES CLASSIC
ბალახი. საპრიზო 170 ათასი $

უიმბლდონის 1998 წლის ფინალისტ ნატალი ტოზიას ძალიან უყვარს ბალახზე თამაში, მაგრამ ვერ იტანს, როდესაც ამაში ხელს უშლიან. სლოვაკ ლუდმილა ჩერვანოვასთან შეხვედრაში ტრიბუნებზე გაუჩერებლად მოლაყბე ერთმა წყვილმა ვეტერანი ფრანგი ისე გამოიყვანა მოთმინებიდან, რომ ხმამაღლა შეიგინა, მოკეტავთ თუ არაო. ტოზიას ჭეშმარიტი ლედისთვის შეუფერებელი საქციელისთვის მსაჯისგან გაფრთხილება ერგო.

„ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ინგლისურად შევიგინე, ეს მშობლიურ ენაზე უნდა გამეკეთებინა და ვერავინ გაიგებდა“ — მონანიეს ნამდვილად ვერ უწოდებ 33 წლის ფრანგს, რომელმაც უსიამოვნო ინციდენტის მიუხედავად, მეტოქე 6:4, 6:1 დაჯაბნა.

შარშან ტოზიამ სკანდალური ავტობიოგრაფიული წიგნის გამოქვეყნების შემდეგ კოლეგათა უმეტესობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა და ერთხანს პენსიაზე გასვლასაც გეგმავდა, თუმცა ბოლო წამს გადაიფიქრა: „წლის ბოლოს ისევ ჯანზე ვიყავი, კლასიფიკაციაშიც დიდად არ დავქვეითებულვარ, ამიტომ გადავწყვიტე ცოტა კიდევ მეთამაშა. თუმცა გარწმუნებთ, ეს ნამდვილად ჩემი ბოლო უიმბლდონი იქნება.“

ტოზიას მომდევნო მეტოქე ლეგენდარული ჯულიუს ირვინგის ქალიშვილი, ალექსანდრა სტივენსონია. 20 წლის ამერიკელმა ერთ დროს მის მიერვე რასიზმში დადანაშაულებული ფრანგი ანაგეილ სიდო (15) 6:3, 6:2 დაამარცხა. ჭკუამხიარული სტივენსონი, რომელიც 1999-ში კვალიფიკაციის გავლით უიმბლდონის ნახევარფინალში გავიდა, ამჯერად დაიმუქრა, ორგანიზატორებს იმედს არ გავუცრუებ და წლეულს პირველი უაილდ ქარდით მიწვეული ჩოგბურთელი გავხდები, ვინც უიმბლდონს მოიგებსო. მანამ არაფერი გეტკინოთ.

**მეორე წრე: ალისია მოლიკი (ავსტრალია) — ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) 4:6, 6:3, 6:3; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — მაგი სერნა (3, ესპანეთი) 6:4, 6:2; ლიზა რეიმონდი (4, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 6:3**

**ავთანდილ სგანიძე**





REUTERS ფილადელფიიდან

# ლეიკერსი კი წინ მიდის



REUTERS ფილადელფიიდან

არა-არა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ნელ-ნელა მაინც გუდავს „ფილადელფიას". ოთხ მოგებამდე გასაგრძელებელი ენბიეის ფინალში ლეიკერსელებმა მესამედ მოიგეს, აქედან ზედიზედ მეორედ ფილადელფიაში. დამარცხებულთა ლიდერის ალენ აივერსონის მთელი იმედები სერიის მეხუთე მატჩს უკავშირდება. ბუდიონის ცხენივით დაბინდული, ტრავმებით ტანჯული ფილადელფიელი ბრძოლას აგრძელებს. მისი დამჭერი, მასავით ქოჩორჩაწნული ლეიკერსელი ტაირონ ლუ კი გოლიათ შაკთან ხარობს. ფილადელფიელი მაყურებლის გასახალისებლად კი იქ დამსწრე ფრანგ ფეხბურთელ ტიერი ანრის კალათბურთის ბურთი აუკენწლია. იქა ყოფილა ერთ დროს ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი, ნასენატორალი და ნამღვდელარი ჯესი ჯექსონიც.



# უელსელები იაპონიაში

*იაპონიაში ტურნეზეა უელსის მორაგბეთა ნაკრები და შეხვედრია კიდეც წყნარი ოკეანის ბარბაროსთა ნაკრებს, უელსელთაგან ერთადერთი ლელო სწორედ აი, ამ კაცს მარკ ჯონსს გაუტანია, ბარბაროსებს კი 36:16 მოუგიათ.*



# კარგი უჩი მატა

*უჩი მატას, ძიუდოს ერთ-ერთ ულამაზეს ილეთს, ქართველი მოჭიდავენი ამოსმულს უწოდებენ. ამ ფოტოზე კლასიკურ ამოსმულს იტალიელი რაფაელ ნიედა ასრულებს თავისი ქვეყნის ჩემპიონატზე. თავად ნიედა ძიუდოს ვარსკვლავი სულაც არ არის, მისი მჯობნი ჩვენში ბევრი მოიძებნება, მაგრამ ძიუდოს ხიბლიც ესაა, რომ თუ ილეთი სწორად და ბოლომდე სრულდება, ის მეტად ლამაზია.*

# მშობლიურ ქალაქს

მს ამბავი ასე დაიწყო: „კოლორადო ეველანშმა" ჰოკეის ეროვნული ლიგის ფინალური სერია მოუგო „ნიუ ჯერსი დევილზს". გამარჯვებულთა კაპიტანმა ჯო საკიკმა სტენლის თასი მიიღო, ოღონდ თავად კი არ აღმართა, გუნდის უხნეს მოთამაშეს, 40 წლის რეი ბურკს გადაულოცა, შენ ასწიეო. რეის ცხოვრების ნახევარი ლიგაში გაუტარებია, კერძოდ კი, ბოსტონის „ბრუინზში", თუმცა, სტენლის თასი პირველად აღმართა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თასი მშობლიურად ქცეულ ქალაქ ბოსტონში ჩაეტანა და ცოლ კრისტინასა და ვაჟ რაიანთან ერთად წარუდგინა სითი ჰოლ პლასზე შეკრებილ ათი ათასი პირადი გულშემატკივრისთვის. ისე, სეზონი გასრულებულა და მისტერ რეიმონდ ბურკსაც ჭაღარა წვერი გაუპარსავს.



REUTERS ბოსტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge